

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე
Известия Национальной Академии Наук Грузии
Proceedings of the Georgian National Academy of Sciences

ბიომედიცინის სერია
БИОМЕДИЦИНСКАЯ СЕРИЯ
BIOMEDICAL SERIES

2020 № 1-2

ტომ
VOL.
46

გურიაშვილი დაარსებულია 1975 წელს
Журнал основан в 1975 году
Founded in 1975

თბილისი თბილისი Tbilisi
2020

სარედაქციო პოლიგია

ნოდარ მითაგვარია	(მთავარი რედაქტორი)
თემურ ნანეიშვილი	(მთ. რედაქტორის მოადგილე)
გურამ ბეგაია	(მთ. რედაქტორის მოადგილე)
თამარ დომიანიძე	(სწ. მდივანი)

ნუგზარ ალექსიძე	ოლღა ლაგრიკი (რუსეთი)
ჯეიმს ბიჩერი (აშშ)	ილია ლაზრიშვილი
ეგორ გასეცკი (საფრანგეთი)	დავით მიქელაძე
მერაბ კოკაია (შვედეთი)	დავით ნადარეიშვილი
ბორის კორსანტია	სერგეი რაზინი (რუსეთი)
პატრიკ კურმი (საფრანგეთი)	რომან შაქარიშვილი

სარედაქციო საბჭო

ნაირა აიგაზიანი (სომხეთი)	ლაგრენგი მანაგაძე
ივან დემჩენკო (აშშ)	დავით მეტრეგელი
ზურაბ გადაჭირია	ზურაბ ქევანიშვილი
დმიტრი გასილენკო (უკრაინა)	ნინო ცისკარიშვილი
ოთარ თოიძე	ალექსანდრე ცისკარიძე
არჩილ კეზელი	დიმიტრი წვერავა
ირინე კვაჭაძე	ბეჭან წინამძღვრიშვილი
დიმიტრი კორძაია	არჩილ ხომასურიძე
გელიქ მაკაროვი (რუსეთი)	ულდუზ ჰაშმოვა (აზერბაიჯანი)

კორექტორი: დ. სოხაძე

კომპიუტერული დიზაინი და დაკაბალიზაცია: ა. სურმავა

ეს ნომერი გამოცემულია

ი. ბერიტაშვილის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების დაფინანსებით
თბილისი, 0160, ლ. გოთუას 14

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Н. Митагвария (гл. редактор)
Т. Нанеишвили (зам. гл. редактора)
Г. Бекая (зам. гл. редактора)
Т. Домианидзе (уч. секретарь)

Нугзар Алексидзе *Ольга Лаврик (Россия)*
Джеймз Бичер (США) *Илья Лазришвили*
Егор Васецки (Франция) *Давид Микеладзе*
Мераб Кокая (Швеция) *Давид Надареишвили*
Борис Корсантия *Роман Шакаришвили*
Патрик Курми (Франция) *Сергей Разин (Россия)*

РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

Наира Айвазян (Армения) *Лаврентий Манагадзе*
Зураб Вадачкория *Давид Метревели*
Дмитрий Василенко (Украина) *Отар Тоидзе*
Иван Демченко (США) *Улдуз Хашимова (Азербайджан)*
Ирина Квачадзе *Арчил Хомасуридзе*
Зураб Кеванишвили *Дмитрий Цверава*
Арчил Кезели *Бежсан Цинамдзгвришвили*
Дмитрий Кордзая *Александр Цискаридзе*
Феликс Макаров (Россия) *Нино Цискаришвили*

Корректор: *Д. Сохадзе*

Компьютерный дизайн и верстка: *А. Сурмава*

Издано Обществом физиологов Грузии им. И.С. Бериташвили
Тбилиси, 0160, ул. Л. Готуа, 14

EDITORIAL BOARD

N. Mitagvaria (Editor-in-Chief)

T. Naneishvili (Vice-Editor)

G. Bekaya (Vice-Editor)

T. Domianidze (Scientific Secretary)

Nugzar Aleksidze

James Bicher (USA)

Patrick Curmi (France)

Merab Kokaia (Sweden)

Boris Korsantia

Olga Lavrik (Russia)

Ilia Lazrishvili

David Mikeladze

David Nadareishvili

Sergey Razin (Russia)

Roman Shakarishvili

Egor Vassetzky (France)

ADVISORY BOARD

Naira Aivazian (Armenia)

Ivan Demchenko (USA)

Zurab Kevanishvili

Ulduz Khashimova (Azerbaijan)

Archil Khomasuridze

Dmitri Kordzaia

Felix Makarov (Russia)

Lavrenty Managadze

David Metreveli

Archil Kezeli

Irina Kvachadze

Otar Toidze

Alexander Tsiskaridze

Nino Tsiskarishvili

Bezhan Tsinamdzgvirishvili

Dmitry Tsverava

Zurab Vadachkoria

Dmitry Vasilenko (Ukraine)

Proof-reader: *D. Sokhadze*

Computer design and make-up: *A. Surmava*

Published by I. Beritashvili Georgian Physiologists Society

14, L. Gotua Str., Tbilisi, 0160

შესასრული**СОДЕРЖАНИЕ****CONTENTS**

**პრ პერფუზიის როლი მწვავე იშემიური ინსულუტის მოსალოდნელი
 პერფუზიული ფრანსორმაციის განსაზღვრაში**

ერეკლე გიგიაძე, გიორგი ეგუტიძე

**РОЛЬ КТ ПЕРФУЗИИ КАК ПРЕДИКТОРА РАЗВИТИЯ ГЕМОРРАГИЧЕСКОЙ
 ТРАНСФОРМАЦИИ ПРИ ОСТРОМ ИШЕМИЧЕСКОМ ИНСУЛЬТЕ**

Эрекле Гигиадзе, Георгий Эгутидзе

**PERFUSION CT ROLE FOR PREDICTION OF HEMORRHAGIC
 TRANSFORMATION IN ACUTE ISCHEMIC STROKE**

Erekle Gigiadze, Giorgi Egutidze 1

**ლოგონევროზი ანუ ენაბლურება: გამომვევი ვაჟტორები, პათოგენეზი,
 ჰაბილიტაციები / რეპარატიული ჰაბილიტაციების პროცედურები,**

განვითარების პრინციპები

ზურაბ ზენაიშვილი, მიხაილ თუშიშვილი, შოთა ჯაფარიძე, ზურაბ
 ქავანიშვილი

**ЛОГОНЕВРОЗ, Т.Е. ЗАИКАНИЕ: ПРОВОЦИРУЮЩИЕ ФАКТОРЫ,
 ПАТОГЕНЕЗ, ПРОЦЕДУРЫ АБИЛИТАЦИИ/РЕАБИЛИТАЦИИ,
 ПЕРСПЕКТИВЫ ИЗЛЕЧЕНИЯ**

Мзия Зенайшвили, Михаил Тушишвили, Шота Джапаридзе, Зураб Кеванишвили

**LOGO-NEUROSIS, I.E. STUTTERING: PROVOKING FACTORS, PATHOGENESIS,
 HABILITATION/REHABILITATION MEANS, HEALING PERSPECTIVES**

Mzia Zenaishvili, Mikhael Tushishvili, Shota Japaridze, Zurab Kevanishvili..... 9

II

რადიაციის გავლენა თემრი WISTAR-ისა და შავი ჰიბრიდული ვირტაგვების
რადიომარმანგელობაზე, ჩვევასა და მათ ნეიროძიმიურ პორელაციებზე
გიორგი იორდანიშვილი, ირაკლი მაისურაძე, მანანა ფრუიძე, ნინო ხვიტია,
მაია ჯონსონი, ირინე კვაჩაძე

ВЛИЯНИЕ РАДИАЦИИ НА ВЫЖИВАЕМОСТЬ, ПОВЕДЕНИЕ И НЕЙРОХИМИЧЕСКИЕ КОРРЕЛЯТЫ БЕЛЫХ И ЧЕРНЫХ КРЫС

Георгий Иорданишвили, Ираклий Майсурадзе, Манана Pruittze, Нино Хвития,
Майя Джонсон, Ирине Квачадзе

INFLUENCE OF RADIATION ON RADIO-SENSITIVITY, BEHAVIOR, AND THEIR NEUROCHEMICAL CORRELATES OF WHITE WISTAR AND BLACK HIBRID RATS

Giorgi Iordanishvili, Irakli Maisuradze, Manana Pruittze, Nino Khvitia, Maia Jonson,
Irine Kvachadze 21

აივ ინფექცია / შილით დაავადებული ადამიანების რეაროდუქციული
ჰანგრძლივობა და უფლებები საქართველოში

ეკატერინე მირველაშვილი, თამარ ხაჯომია, ეკატერინე კიკაჩეიშვილი,
ქეთევან არახამია

РЕПРОДУКТИВНОЕ ЗДОРОВЬЕ И ПРАВА ПАЦИЕНТОВ С ВИЧ / СПИДОМ В ГРУЗИИ

Екатерине Мирвелашивили, Тамар Хажомия, Екатерине Кикачеишвили,
Кетеван Арахамия

HIV / AIDS PATIENTS REPRODUCTIVE HEALTH AND RIGHTS IN GEORGIA

Ekaterine Mirvelashvili, Tamar Khajomia, Ekaterine Kikacheishvili, Ketevan Arakhamia 27

კონდომების გამოყენებისაზე დამოკიდებულებისა და გათი გამოყენების
სიხშირის ზესრავლა სამეცნიერო უნივერსიტეტის სტუდენტებში

ეკატერინე მირველაშვილი, თამარ ხაჯომია, ეკატერინე კიკაჩეიშვილი,
ქეთევან არახამია

ИЗУЧЕНИЕ ОТНОШЕНИЯ К ИСПОЛЬЗОВАНИЮ КОНДОМОВ И ЧАСТОТЫ ПОЛЬЗОВАНИЯ ИМИ СРЕДИ СТУДЕНТОВ МЕДИЦИНСКОГО УНИВЕРСИТЕТА

Екатерине Мирвелашивили, Тамар Хажомия, Екатерине Кикачеишвили,
Кетеван Арахамия

CONDOM USE AND FREQUENCY IN MEDICAL STUDENTS

Ekaterine Mirvelashvili, Tamar Khajomia, Ekaterine Kikacheishvili,
Ketevan Arakhamia..... 33

III

ღვიძლის გუნდისა და ანატომია და მისი დაზიანებით გამოყვეული
ზოგიერთი პათოლოგია

ნინო ორმოცაძე, ილონა საკვარელიძე

ФУНКЦИОНАЛЬНАЯ АНАТОМИЯ ПЕЧЕНИ И НЕКОТОРЫЕ ПАТОЛОГИИ,
СВЯЗАННЫЕ С ЕЕ ПОРАЖЕНИЕМ

Нино Ормцадзе, Илона Сакварелидзе

THE FUNCTIONAL ANATOMY OF THE LIVER AND SOME SYNDROMES
ASSOCIATED WITH ITS DYSFUNCTION

Nino Ormotsadze, Ilona Sakvarelidze 39

შპოროსი ასაგის (7-13 წლ.) ძირითადი საჭროები პროცესის
რეგულირების ზოგიერთი საკითხი

დურმიშხან ჩითაშვილი, ელენე კორინტელი, ნანა ბერიანიძე, ვაჟა
ბალხამიშვილი, ნიკოლოზ ბალხამიშვილი, მარიამ გობორახაშვილი

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ РЕГУЛИРОВАНИЯ ТРЕНИРОВОЧНОГО ПРОЦЕССА
У ДЗЮДОИСТОВ МЛАДШЕГО ВОЗРАСТА (7-13 лет)

Дурмишхан Читашвили, Елена Коринтели, Нана Берянидзе, Важа Балхамишвили,
Николоз Балхамишвили, Мариам Гоборакхашвили

SOME ASPECTS OF REGULATION OF TRAINING PROCESS IN JUDOISTS
AT THE AGE OF 7-13

Durmishkhan Chitashvili, Elene Korinteli, Nana Berianidze, Vazha Balkhamishvili,
Nikoloz Balkhamishvili, Mariam Goborakhashvili 51

სახის ჩოხების და ორბიტის შერტყმული ფრავების ღიაბოსტის და
მდგრადობის პრინციპები

ნუნუ ხეცურიანი, ნანა ხეცურიანი

ПРИНЦИПЫ ДИАГНОСТИКИ И ЛЕЧЕНИЯ СОЧЕТАННЫХ ТРАВМ ЛИЦЕВОГО
ЧЕРЕПА И ОРБИТЫ

Нуну Хетсурiani, Нана Хетсурiani

PRINCIPLES OF DIAGNOSIS AND TREATMENT OF COMBINED FACIAL AND
ORBITAL TRAUMAS

Nunu Khetsuriani, Nana Khetsuriani 61

06სტრუქტის ავტორთათვის

ИНСТРУКЦИЯ ДЛЯ АВТОРОВ

INSTRUCTIONS FOR AUTHORS

პტ პერიფერიული როლი მწვავე იშემიური ინსულტის მოსალოდნელი პემორაზიული ტრანსფორმაციის განვითარები

ერებლე გოგიაძე, გიორგი ეგუტიძე

ქ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის
 ეროვნული ცენტრი, თბილისი

მწვავე იშემიური ინსულტის პემორაზიული ტრანსფორმაციის განვითარების ალბათობის განსაზღვრა გვესმარება დაავადების მკურნალობის განსაზღვრაში. ჩატარებულ იქნა კვლევები – პტ პარამეტრების შეფასება პემორაზიული ტრანსფორმაციის განვითარების ალბათობის დასადგენად მწვავე იშემიური ინსულტის (მ00) დროს.

პაციენტები მწვავე იშემიური ინსულტით, რომელთაც ჩაუტარდათ თავის ტვინის პტ პერფუზია სიმპტომების აღმოცენებიდან 12 საათში, შეფასებული იყენება მრავალ კვლევაში. ინსულტიანი პაციენტები პემორაზიული ტრანსფორმაციით და ამ გართულების გარეშე განაწილდნენ კლინიკურ და საკონტროლო ჯგუფებში, შესაბამისად. ასევე ისინი დაჯგუფდნენ თრომბოლიზისის ჩატარების მიხედვით. გამოთვლილი და გაანალიზებულ იქნა აბსოლუტური და ოელატიური საშუალო ტრანზიტული დრო, ცერებრული სისხლის დინება, ცერებრული სისხლის მოცულობა პათოლოგიური უბანში, ასევე ნორმალიზებულ იქნა თავის ტვინის კონტრალუტერალურ მხარესთან. ROC და AUC ანალიზის მრუდები გამოყენებულ იქნა აკლევებისას მწვავე იშემიური ინსულტის პემორაზიული ტრანსფორმაციის განვითარების ალბათობის განსაზღვრისთვის. კვლევების შემაჯამებელი სენტრული და საეციფიკურობა შეადგენს 84% და 74 %-ს.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევების დროს გამოკვლეულ იქნა პტ პერფუზიის სხვადასხვა პარამეტრები, ნათლად იყვნება პტ პერფუზიის მნიშვნელოვანი როლი მწვავე იშემიური ინსულტის მოსალოდნელი პემორაზიული ტრანსფორმაციის განსაზღვრაში.

საკვანძო სიტყვები: პტ პერფუზია, მწვავე იშემიური ინფარქტი, პემორაზიული ტრანსფორმაცია

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) განმარტებით, ინსულტი არის „კლინიკური სინდრომი, რომელიც მოიცავს თავის ტვინის ფუნქციების ადგილობრივი (ან კომის შემთხვევაში – გლობალური) დარღვევის

ქლინიკურ ნიშნებს, რაც გრძელდება 24 საათზე მეტი დროის გან-
მავლობაში ან იწვევს სიკვდილს რაიმე აშკარა არასისხლძარღვოვანი
მიზეზის არარსებობის პირობებში“. WHO მონაცემებით, ინსულტი სიკვდი-
ლის გამომწვევ მიზეზებს შორის მეორე ადგილს იკავებს, ხოლო
ინვალიდობის მიზეზებს შორის – მესამეს. ინსულტის მსოფლიო ორ-
განიზაციების მონაცემებით, წელიწადში ინსულტით ავადდება დაახ-
ლოებით 15 მლნ.-ზე მეტი ადამიანი, ხოლო 6.2 მილიონზე მეტი კვდება.
ინსულტი, დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად, საქართველოშიც ჯან-
მრთელობის ერთ-ერთი წამყვანი პრობლემაა და მაღალი ავადობითა და
სიკვდილობით ხასიათდება.

როგორც ცნობილია, ინსულტების 85% იშემიურია, 15% – ჰემორაგიული.
დიაგნოსტირების ისეთ მეთოდებთან ერთად, როგორიცაა უკონტრასტო პტ
და მრტ (DWI), იშემიური ინსულტების შეფასებაში მსოფლიოში სულ
უფრო მზარდი როლი აქვს თავის ტვინის პტ ჰერფუზიით. პტ ჰერფუზიით
პენუმბრისა და ნეკროზული ზონის დროული დიფერენცირება საშუალებას
გვაძლევს კონკრეტული პაციენტისთვის სწორად და დროულად შევარ-
ჩიოთ მკურნალობის ისეთი თანამედროვე და ეფექტური მეთოდები,
როგორიცაა თრომბექტომია და თრომბოლიზისი, რაც საბოლოო ჯამში
საგრძნობლად ამცირებს დაავადების ლეტალობას და ინგვალიდობას.

თრომბოლიზისის მეთოდით მწვავე იშემიური ინსულტის მკურნალობა
საქართველოში ტარდება სიმპტომების აღმოცენებიდან პირველ 4.5 საათში.
ამისთვის გამოიყენება ანტეპლაზას ინტრავენური ინიექცია. თუ პროცე-
დურას გააჩნია წინააღმდეგზენება ან იქნება არაეფექტური, შესაძლე-
ბელია ენდოვასკულარული მექანიკური თრომბექტომიის ჩატარება.

მწვავე იშემიური ინსულტის ერთ-ერთი გართულება – ჰემორაგიული
ტრანსფორმაცია ხდება ჰემიტონეფალური ბარიერის დარღვევის შე-
დეგად. ის ვითარდება როგორც სპონგანურად ტვინის იშემიურ უბანში,
ასევე შეიძლება გამოწვეულ იქნას რეპერფუზიისას. ჰემორაგიული ტრანს-
ფორმაცია ხდება მწვავე იშემიური ინსულტების 4.5-68.0%-ში და გააჩნია
მეტი პროცენტული ალბათობა ისეთ პაციენტებში, ვისაც მკურნალობა
ალტეპლაზათი ჩატარდა, ვიდრე მათ შორის, ვისაც ამ მედიკამენტით
მკურნალობა არ ჩატარებით. მცირე და საშუალო ზომის ჰემორაგიული
ტრანსფორმაცია არ იწვევს სერიოზულ შედეგს კლინიკურ გამოსავალზე,
რასაც ვერ ვიტყვით მნიშვნელოვან ჰემორაგიაზე, რომლის შემდგომაც
ასეთ პაციენტებში საგრძნობლად იზრდება ლეტალობის მაჩვენებლები.

პაციენტებს მწვავე იშემიური ინსულტის ნიშნებით და სიმპტომებით მკურ-
ნალობის წინ უტარდებათ პტ კვლევების სერია: უკონტრასტო პტ – ინ-
ტრაკრანიალური ჰემორაგიის გამოსარიცხად, პტ ანგიოგრაფია –
სისხლძარღვის ოკლუზის აღგილის ზუსტი ლოკალიზაციისთვის, პტ
ჰერფუზია – თავის ტვინის პარენქიმის ნეკროზული და არანეკროზული

უბნების დიფერენცირებისთვის და მკურნალობის შემდგომი უკონტრასტო პტ თრომბოლიზის შემდგომი ჰემორაგიის გამოსარიცხად.

პტ პერფუზიისას გამოიყენება სამი პარამეტრი ძირითადად პენუმბრის და თავის ტიპის პარენქიმის ნეკროზის დიფერენცირებისთვის: MTT – საშუალო ტრანზიტული დრო, CBF – ცერებრული სისხლის დინება, CBV – ცერებრული სისხლის მოცულობა.

ტვინის ნორმალური პერფუზიის მაჩვენებლებია:

რუხი ნივთიერება – MTT 4 წ., CBF 60 მლ/100 გ/წ, CBV 4 მლ/100 გ;

თეთრი ნივთიერება – MTT 4.8 წ., CBF 25 მლ/100 გ/წ, CBV 2 მლ/100 გ.

განარჩევებ ამ პარამეტრების როგორც აბსოლუტურ, ასევე რელატიურ მაჩვენებლებს -კონტრალატერალურ ჯანმრთელ ჰემისფეროში ანალოგიური ლოკალიზაციის უბანთან პროცენტულ შეფარდებას.

მასალა და მათოდება

პაციენტები მწვავე იშემიური ინსულტით, რომელთაც ჩაუტარდათ თავის ტვინის პტ პერფუზია სიმპტომების აღმოცენებიდან 12 საათში, შეფასდნენ მრავალ კვლევაში. ინსულტიანი პაციენტები ჰემორაგიული ტრანსფორმაციით და ამ გართულების გარეშე, შესაბამისად, მოთავსდნენ კლინიკურ და საკონტროლო ჯგუფებში. ასევე, ისინი დაჯგუფდნენ თრომბოლიზისის ჩატარების მიხედვით. გამოთვლილი და გაანალიზებულ იქნა აბსოლუტური და რელატიური საშუალო ტრანზიტული დრო, ცერებრული სისხლის დინება, ცერებრული სისხლის მოცულობა პათოლოგიურ უბანში. ასევე, ნორმალიზებულ იქნა თავის ტვინის კონტრალატერალურ შხარესთან.

პაციენტებს მწვავე იშემიური ინსულტის ნიშნებით და სიმპტომებით მკურნალობის წინ ჩაუტარდათ პტ კვლევების სერია: უკონტრასტო პტ – ინტრაკრანიალური ჰემორაგიის გამოსარიცხად, პტ ანგიოგრაფია – სისხლძარღვის ოკლუზის ადგილის ზუსტი ლოკალიზაციისთვის, პტ პერფუზია – თავის ტვინის პარენქიმის ნეკროზული და არანეკროზული უბნების დიფერენცირებისა და ჰემორაგიული ტრანსფორმაციის განვითარების ალბათობის დასადგენად მწვავე იშემიური ინსულტის (ზ00) დროს. ჰემორაგიული ტრანსფორმაცია დოკუმენტირებულ იქნა განმეორებითი პტ-ით, რომელიც ტარდება პირველი გადაღებიდან 24 საათის შემდეგ. ასეთი პაციენტები გავაერთოანთ საკვლევ ჯგუფში. საკონტროლო ჯგუფში მოთავსდნენ პაციენტები, ვისაც არ განუვითარდათ ჰემორაგიული ტრანსფორმაცია.

აღნიშნული კვლევების დროს გამოყენებულ იქნა: ციფრობრივი მაჩვენებების მიწოდება, როგორც საშუალო ± სტანდარტული დევიაცია, მაჩვენებ-

ლების განაწილება Shapiro-Wilk-ის ტესტით, Mann-Whitney U-ტესტი გამოყენებულ იქნა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავების განსაზღვრისთვის კლინიკურ და საკონტროლო ჯგუფებს შორის, სტატისტიკურად მნიშვნელოვან მიღებულ იქნა $p < 0.05$ მაჩვენებელი. ROC და AUC მეთოდები გამოყენებულ იქნა სპეციფიკურობის და სენსიტიურობის განსაზღვრისთვის.

შედეგები

სხვადასხვა კვლევების მიხედვით, პაციენტები მწვავე იშემიური ინსულ-ტით, ვისაც ჩაუტარდათ პტკ (მათ ნაწილს ჩაუტარდათ 0/3 თრომბოლიზისი), ჩართული იყვნენ კვლევაში.

კვლევების შემაჯამებელი სენსიტიურობა და სპეციფიკურობა შეადგენს 84% და 74% [3].

დისკუსია

ჰემორაგიული ტრანსფორმაცია არის 0/3 თრომბოლიზის პოტენციურად მძიმე გართულება, რომელიც ვითარდება მწვავე იშემიური ინსულტების შემთხვევების 4.5-68.0%-ში. დიდი ზომის პარენქიმული ჰემატომა მაღალი სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი პრედიქტორია.

შესწავლით იქნა დიაგნოსტიკის სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის პტ, პტკ, მრტ (დიფუზია და პერფუზია).

ერთ-ერთ კვლევაში გამოყენებულ იქნა ნეკროზული უბნის პტკ პარამეტრები, სადაც დადგინდა, რომ ჰემორაგიული ტრანსფორმაციის პრედიქტორი მხოლოდ CBV-ს დაბალი მაჩვენებლებია, თუმცა, ამავდროულად, არ იქნა გათვალისწინებული რელატიური პარამეტრები [1].

მთლიანი ინსულტის (როგორც ნეკროზი, ასევე პენიტრაცია) ფართობის პტკ მაჩვენებლები გამოიყენებოდა ჰემორაგიული ტრანსფორმაციის განვითარების ალბათობის განსაზღვრისთვის, კერძოდ rCBV (რელატიური CBV) ≤ 1.09 და $T_{max} > 14$ ს მიიჩნეოდა ყველაზე დასაყრდნობ პარამეტრებად როგორაც rCBF $< 30\%$, ასევე დიდი ალბათობით იყო ჰემორაგიული ტრანსფორმაციის (პტ) პრედიქტორი [5]. ზუსმანი გვაფრთხილებს აბსოლუტურ პარამეტრებზე დაყრდნობის საშიშროებებზე – რეკონსტრუქციის პროგრამები სხვადასხვა ფირმების წარმოებულია [4].

ინსულტის ნეკროზის უბნის ერთ-ერთმა ბოლო კვლევამ აჩვენა, რომ rCBF $< 4.5\%$ მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებაში პტ განვითარების ყველაზე სარწმუნო პტკ პარამეტრია (სენსიტიურობა – 71.0%, სპეციფიკურობა – 52.5% [2]).

ექსტრემალურად დაბალი მაჩვენებლების rCBF-ს ინსულტის ნეკროზის უბის Yassi-ს კვლევასთან [5] მიმართებაში შესაძლო მიზეზებს შორის შეიძლება ჩაითვალოს დრმა პიპოპერფუზია ინსულტის რეგიონში, რომელიც შეიცავს საკონტრასტო ნივთიერებას მცირე რაოდენობით (ამ რაოდენობას პტპ ვერ აღიძგამს).

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული კვლევის შედარებისას მთლიანი ინსულტის პერფუზიის რელატიურ პარამეტრებთან იკვეთება ამ უკანასკნელის მეტი სენსიტიურობა და ნაკლები სპეციფიკურობა – $rCBF < 30\%$ მთლიანი ინსულტის შეფასებისას (სენსიტიურობა – 100%, სპეციფიკურობა – 39.0%) – Yassi-ს კვლევა [5], ხოლო $rCBV < 1.09$ მთლიანი ინსულტის შეფასებისას (სენსიტიურობა – 100%, სპეციფიკურობა – 58.3%) – Jain-ს კვლევა [1] გამოიჩინება სპეციფიკურობის და სენსიტიურობის მაღალი მაჩვენებლებით. ინსულტის ნეკროზის $rCBV < 8.5\%$ (სენსიტიურობა – 71.4%, სპეციფიკურობა – 42.5%) შეიძლება ასევე ჩაითვალოს პტ განვითარების სარწმუნო ნიშად [2].

კვლევების შეზღუდვებია: რეტროსპექტული კვლევები, არ იქნა გათვალისწინებული ინსულტის სიმძიმე, ინსულტის და პარენქიმული ჰემორაგიის ანატომიური ლოკალიზაცია, ჰემორაგიული ტრანსფორმაცია არ იქნა დაჯგუფებული ქვეტიკების მიხედვით.

დასტვა

საბოლოო ანალიზის მიხედვით ჩანს პტ პერფუზიის მნიშვნელოვანი როლი მწვავე იშემიური ინსულტის მოსალოდნელი ჰემორაგიული ტრანსფორმაციის განსაზღვრაში.

ლიტერატურა

1. Jain A.R., Jain M., Kanthala A.R., Damania D., Stead L.G., Wang H.Z., Jahromi B.S. American Journal of Neuroradiology, 2013, 34 (10), 1895-1900; DOI: <https://doi.org/10.3174/ajnr.A3502> [PubMed] [Google Scholar].
2. Langel C., Popovic K.S. Infarct-core CT Perfusion Parameters in Predicting Post-thrombolysis Hemorrhagic Transformation of Acute Ischemic Stroke. 2018 Dec 20, PMID: 30864425 PMCID: PMC6411018 DOI: 10.2478/raon-2018-0048 [PubMed] [Google Scholar].
3. Suh C.H., Jung S.C., Cho S.J., Kim D., Lee J.B., Woo D.C., Oh W.Y., Lee J.G., Kim K.W. Perfusion CT for Prediction of Hemorrhagic Transformation in Acute Ischemic Stroke: A Systematic Review and Meta-Analysis, Aug 2019, PMID: 30617485 DOI: 10.1007/s00330-018-5936-7 [PubMed] [Google Scholar].
4. Sussman E.S., Connolly E.S. Front Neurol., 2013, 4, 69. doi: 10.3389/fneur.2013.00069. [PMC free article] [PubMed] [CrossRef] [Google Scholar].
5. Yassi N., Parsons M.W., Christensen S., Sharma G., Bivard A., Donnan G.A., Levi Ch.R., Desmond P.M., Davis S.M., Campbell B.C.V. Prediction of Poststroke Hemorrhagic Transformation Using Computed Tomography Perfusion. Originally published 3 Sep 2013 <https://doi.org/10.1161/STROKEAHA.113.002396> Stroke. 2013;44:3039-3043 [PubMed] [Google Scholar].

РОЛЬ КТ ПЕРФУЗИИ КАК ПРЕДИКТОРА РАЗВИТИЯ ГЕМОРРАГИЧЕСКОЙ ТРАНСФОРМАЦИИ ПРИ ОСТРОМ ИШЕМИЧЕСКОМ ИНСУЛЬТЕ

Эрекле Гигиадзе, Георгий Эгутидзе

Национальный центр клинической и экспериментальной хирургии им. К. Эристави, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Определение вероятности развития геморрагической трансформации острого ишемического инсульта помогает в выборе правильного лечения. Исследованы параметры КТ перфузии как предикторы в развитии геморрагической трансформации острого ишемического инсульта.

Пациенты, которым проводилась КТ перфузия головного мозга в течение 12 часов с начала симптомов заболевания, были оценены в разнообразных исследованиях. Пациенты с геморрагической трансформацией и без нее были распределены в клиническую и контрольную группах, а также сгруппированы по признаку проведения им ИВ тромболизиса. Абсолютные и релативные показатели – среднее транзитное время, церебральное течение крови, объем церебральной крови были изучены и проанализированы, нормализованы с контралатеральной стороной головного мозга. Кривые ROC и AUC анализа были использованы для установления вероятности развития геморрагической трансформации острого ишемического инсульта. Объединенные сензитивность и специфичность составляли 84% и 74%.

Несмотря на то, что были исследованы разные параметры КТ перфузии, выявляется значительная роль КТ перфузии как предиктора развития геморрагической трансформации острого ишемического инсульта.

PERFUSION CT ROLE FOR PREDICTION OF HEMORRHAGIC TRANSFORMATION IN ACUTE ISCHEMIC STROKE

Erekle Gigiadze, Giorgi Egutidze

K. Eristavi National Center for Clinical and Experimental Surgery, Tbilisi

SUMMARY

Background and purpose: Prediction of hemorrhagic transformation in acute ischemic stroke could help to determine treatment and prognosis. The diagnostic performance of perfusion CT for prediction of hemorrhagic transformation in acute ischemic stroke were investigated.

Material and methods: Patients with acute ischemic stroke who underwent CTP scanning within 12 hours of symptom onset were examined in various studies.

The patients with and without hemorrhagic transformation were defined as cases and controls, respectively, and were matched as to IV rtPA administration. From CTP maps were calculated and normalized the absolute and relative average transit time, CBF, CBV values to the contralateral

side. Receiver operating characteristic analysis curves were created, and threshold values for significant CTP parameters were obtained to predict hemorrhagic transformation.

Results: The pooled sensitivity and specificity were 84% and 74%.

Conclusions: Although various perfusion CT parameters have been used in our studies, the current evidence supports the use of perfusion CT to predict hemorrhagic transformation in acute ischemic stroke.

ლოგონევროზი ანუ ენაბლურბა: გამომვევი ფაქტორები, პათოგენეზი, ჰაბილიტაციის/რეპარატაციის პროცედურები, განვირნების პერსპექტივები

**მზია ჭენაიშვილი,¹ მიხეილ თუშიშვილი,¹ შოთა ჯაფარიძე,²
 ზურაბ ქეგენიშვილი¹**

¹ აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრი; ² ოტორინოლარინგოლოგიის
 ეროვნული ცენტრი; თბილისი, საქართველო

ფართო გაერცელებულობის მიუხედავად, ლოგონევროზის, ანუ ენაბლურბის შესახებ საქართველოში აქამდე არ ყოფილა გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი. წინამდებარე პუბლიკაციაში მეტყველების აღნიშნული დისფუნქციის შესახებ არსებული შეხედულებებია შეჯერებული. განმარტებულია, რომ ლოგონევროზი სამეტყველო აპარატის კუნთების სპაზმებთან ასოცირებული მეტყველების ტემპისა და რიტმის დარღვევებს გამოხატავს. ხაზგასმულია, რომ პათოლოგია მემკვიდრეობითიც შეიძლება იყოს და შეძენილიც. ჩამოთვლილია ლოგონევროზის მაპროცეციონგებული ფაქტორები: გართულებული ორსულობა და/ან მშობიარობა, მძიმედ მიმდინარე და/ან ნშირი სომატური დაავადებები, მეტყველების განვითარებაში ჩამორჩენა, კონფლიქტური სიტუაციები ოჯახში. ენაბლურბის სიმპტომოკომპლექსი ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯგუფებად განიყოფება. მინიშნებულია, რომ ფიზიკური სიმპტომები მეტყველების პროცესში ჩართულ კუნთთა კრუნჩხვებში ვლინდება, ხოლო ფსიქოლოგიური – ფობიებში. დიფერენცირებულია ენაბლურბის ნევროზული და ნევროზისმაგარი ფორმები. ნევროზული ენაბლურბა ფსიქოდარღვევების ფონზე ვითარდება, შედარებით დუნედ მიმდინარე ნევროზისმაგარის დაკავშირება კი რაიმე კონკრეტულ ფაქტორთან ხშირად ოთული ან შეუძლებელია. ხაზგასმულია, რომ ენაბლურბის მეურნალობა სამედიცინო და პედაგოგიურ პროცედურათა კომპლექსურ მიღებას მოითხოვს და მთელი ორგანიზმის, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალური ნერვული სისტემის სანაციას, ფსიქოთერაპიას, პაციენტის სოციალური გარემოსა და ყოფითი პირობების გაუმჯობესებას გეგმავს. დეკლარირებულია ლოგონევროზთან ასოცირებული სომატური დაავადებების მკურნალობის აუცილებლობაც. გაცხადებულია, რომ ფსიქოთერაპია ენაბლუს ფსიქოლოგიურ დარღვევათა ბლოკირებისგენ არის მიმართული, ლოგონბედიის, ანუ მეტყველების თერაპიის მიზანი კი ენაბლუს სასუნთქი, სახმო, საარტიგულაციო აპარატების ჯეროვან და შეთანხმებულ მოქმედებათა უზრუნველყოფაა. ჰაბილიტაციის/რეპარატაციის პროცესებში ნორმალური ლოგონიტმიკის ჩამოყალიბებას განსაკუთრებული

ყურადღება ეთმობა. რიტმული მეტყველებითი გარჯიშების მიზანს თავის ტვინის ქერქში მეტყველების ცენტრის ფუნქციონის ნორმალიზაცია წარმოადგენს. რიტ-მული მეტყველების მიმართ ლოგოსეანსებში დაფიქსირებული მიღწევები ცხოვრებისეულ სიტუაციებშიც თანდათანობით გადაიტანება. მითითებულია, რომ ენაბლუობის დაძლევის პროცესში მნიშვნელოვანი მომენტი არის ენაბლუს უზრუნველყოფა კეთილგანწყობილი სოციალური გარემოთი. ხაზგასმულია მეტყველების საჰაბილიტაციო/სარგებაბილიტაციო ღონისძიებების მოხმობის უწყვეტობის მნიშვნელობა – პროცედურათა შორის პაუზები ენაბლუობის ოქმისის მიზეზი შეიძლება გახდეს. ხაზგასმულია, რომ სწორედ ადეკვატური, კომპლექსური და რეგულარული მკურნალობა და ღონისძიებებში მშობელთა და ოჯახის სხვა წევრთა აქტიური ჩართულობა წარმოადგენს სასურველი შედეგის გარანტს.

საკვანძო სიტყვები: ლოგონევროზი, ანუ ენაბლუობა, ეტიოლოგიური ფაქტორები, პათოგენეზი, გამოვლინების ფორმები, მკურნალობის სტრატეგია, ჰაბილიტაციის / რეჰაბილიტაციის პერსპექტივები

ლოგონევროზი, ანუ ენაბლუობა სუნთქვის ორგანოთა კუნთების, კერძოდ, სახმო იოგების და ზედა ბაგების უნებლივ შეკუმშვებით გამოწვეული მეტყველების დარღვევებს გამოხსატავს. კუნთების სპაზმთა დროს ცალკეული ბეგრების წარმოოქმდა ყოვნდება, სპაზმთაშორის კი მეტყველება, პირიქით, აჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. სტატისტიკური მონაცემებით, ენაბლუობა ბაგშების 10%-ს აღენიშნება, მთელი ცხოვრების მანძილზე კი პათოლოგიის სხვადასხვა ხარისხს მოსახლეობის 4% ატარებს [2].

ლოგონევროზის გამომწვევები მაპროვოცირებელ და მიზეზობრივ ფაქტორებად დიფერენცირდება [2, 8]. პირველი ჯგუფის შემადგენლები, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, უშუალოდ არ იწვევს ლოგონევროზს, მაგრამ პათოლოგიის ინიცირებისადმი მზაობას განაპირობებს. ენაბლუობის მაპროვოცირებლებია: გენეტიკური ფაქტორი – თუ დედას ან მამას ენაბლუობა აღენიშნებოდა ან აღენიშნება; გართულებული ორსულობა და/ან მშობიარობა, რამაც ბაგშვის ცენტრალური ნერვული სისტემის სტატუსი შეიძლება შეარყიოს და სხვადასხვა ზემოქმედებათა მიმართ მისი მდგრადობა დაარღვიოს; ბაგშობის აღრეულ ასაკში მძიმედ გადატანილი და/ან ხშირი სომატური დაავადებები, რომლებიც გამოფიტვის ტიპის ზემოქმედებებს ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და არასასურველ გარე ფაქტორთა მიმართ მის მედეგობას აქვთობებს; მეტყველების განვითარებაში ჩამორჩენა, რაც სუსტი ნერვული სისტემის მქონე ბაგშებს ფრაზების ჩამოყალიბების პერიოდებს უხანგრძლივებს; ასაკისთვის არა-ადეკვატური სამეტყველო მასალით გადატვირთვა, როცა რთული შინაარსის ტექსტებს აღრეული ასაკიდანვე ფორსირებულად ასწავლიან ბაგშვს [3]. ლოგონევროზის პროვოცირებას არამშვიდი თუ კონფლიქტური ოჯახური სიტუაციებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს [3].

ჩამოთვლილი და კიდევ ბევრი სხვა არასასურველი ფაქტორი ნერვულ სისტემაზე მოქმედებს და მის სენსიტივობას და, შესაბამისად, რეაქტიუ-

ლობას ზრდის. შედეგად, მცირეოდენი გარეგანი ბიძგიც კი ხდება ხოლმე ზოგჯერ საქმარისი სხვადასხვა სახის ნეკროზული აშლილობების, მათ შორის, ენაბლუობის ინიცირებისთვის. სანამ საწყისი მომენტი ჯერ არ დამდგარა, პათოლოგიის პრევენცია შესაძლებელია, მის მიმართ უყურადღებობა კი სერიოზულ გართულებათა მიზეზი შეიძლება გახდეს [3].

ენაბლუობის ხელშემწყობი ფაქტორი მრავალია. მათგან დომინანტი ძლიერი გამდიზიანებლის ზემოქმედებაა, რომელიც ინდივიდში შიშს პროდუცირებს. მნიშვნელოვანი მომენტი ამ შემთხვევაში ის არის, რამდენად ძლიერია შიშის შეგრძება და როგორია მისი ადმქმედი ნერვული სისტემის სტატუსი. სუსტი ფსიქოლოგიური ფონის პირობებში ძლიერმა ჭექაქულმაც, ხმამაღალმაც, კარზე ძლიერმა ბრახუნმაც, ძაღლის დაყეფებამაც, ბნელ ოთახში ყოფნამაც კი შეიძლება გამოიწვიოს ენაბლუობა [5]. ასეთ შემთხვევებში პათოლოგიამ მყისიერადაც შეიძლება იჩინოს თავი.

ნორმის პირობებში ნერვული სისტემის ფუნქციონირების ორი დომინანტი – აგზნება და შეკავება – რეგულარულად ანაცვლებს ერთმანეთს. ჩანაცვლებათა პროცესი მეტყველების თანმდევიცაა. ძლიერი გამდიზიანებლის ზემოქმედებისას მომეტებულ რეაქციებს აქვს ადგილი, რამაც აგზნება-შეკავების თანაფარდობათა დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს, დისპროპორციის ერთ-ერთი გამოვლენა კი შეიძლება სწორედ ენაბლუობა გახდეს [5]. კონკრეტულ სიტუაციას საკუთარი პრაქტიკიდან წარმოგიდგენთ. რამდენიმე ბავშვი ერთად ბრუნდება სკოლიდან სახლში. მოულოდნელად მათ ძაღლი გამოედევნათ. მეტნაკლებად ყველა შეშინდა, ენის ბორბიკით ლაპარაკი კი შემდგომში ერთმა დაიწყო. გაირკვა, რომ ენაბლუობის წინაგანმწყობმა სხვადასხვა ფაქტორებმა უკვე რამდენჯერმე იმოქმედა იმ ბავშვზე ადრე, რის გამოც შერჩევითად მის მიმართ აღმოჩნდა შემთხვევა ლოგოფონიის მიმართ მომეტებულად რისკ-შემცველი.

აგზნება-შეკავების პროცესთა დისბალანსმა ნერვულ სტრუქტურათა ურთიერთშეთანხმებული მოქმედებები შეიძლება დაარღვიოს. დისონანსს ზოგჯერ მაშინ აქვს ადგილი, როცა ამა თუ იმ მიზეზით ინდივიდი იძულებულია რადაც დათრგუნოს საკუთარ თავში და თუნდაც გარკვეული დროით ემოციები დაუმალოს გარშემომყოფებს. საკუთარი პრაქტიკიდან წარმოვადგენთ შესაბამის მაგალითს. ბავშვს მამინაცვალი არ უყვარს და მასთან ურთიერთობებს გაურბის, უარყოფით განწყობებს კი დედას უმალავს, რამეთუ გრძნობს, ამით გაანაწყენებს მას. გარკვეული პერიოდის შემდეგ ათი წლის ქრონიკულად ემოციებშეკავებულ ბავშვს ენაბლუობა უყალიბდება.

დადასტურებულია, რომ ნერვული პროცესების შეთანხმებულ მოქმედებათა დარღვევებს ნეკროზებამდე მივყავართ, რამაც შეიძლება ენაბლუობა გამოიწვიოს. საკუთარი მასალიდანვე მოვიტანთ მორიგ მაგალითს. დედას

სურს, შვილი დააძინოს, ბებია კი ფიქრობს, სახლგარეთ გაასეირნოს შვილიშვილი. ბავშვი იძნევა და აღარ იცის, დედას დაუჯეროს თუ ბებიას. დაძაბული ფსიქომოციური სტრესული პროცესების გამო მას ენაბლუობა უვითარდება.

მორიგი მაგალითი საკუთარი პრაქტიკიდან. ბავშვი ცაციაა, მშობლები კი ცდილობენ, მან თრდინარულ პირობებში უპირატესად მარჯვენა ხელი გამოიყენოს. ცნობილია, რომ მეტყველებასთან მიმართებაში მემარჯვენებს თავის ტვინის მარცხენა, ცაციებს ანუ მემარცხენებს მარჯვენა ჰქმისფეროს ქერქი აქვთ დომინანტური. როცა ცაციას მოვუწოდებთ, მისთვის უპირატესი მარცხენა ხელის მაგივრად მარჯვენა მოიხმაროს, ჩვენ მას ვაძმულებთ, თავის ტვინის მეტყველებითი ფუნქციის არსებული დომინანტობა დაარღვიოს და შესაბამისი პროცესი მისთვის ნაკლებად ადაპტირებული მარცხენა ჰქმისფეროს უპირატესი ჩართულობით შეასრულოს. ასეთ შემთხვევებში ზოგიერთ ბავშვს დისლექსია და დისგრაფია უვითარდება, სხვაში კი, რაც ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში მოხდა, ენაბლუობა ინიცირდება.

ენაბლუობის ერთ-ერთი ფორმა მიბაძვითი ლოგონევროზია. ცალკეული ემოციური ბავშვები გარშემომყოფ ენაბლუთა იმიტაციას ახდენენ, ძირითადად, ქვეცნობიერად. ბავშვის მშობელი თავად თუ არ არის ენაბლუ, მემკვიდრეობით და მიბაძვით ენაბლუობებს შორის დიფერენცირება იოლი არ არის.

ენაბლუობის მიზეზთა დაყოფა უშეალო ეტიოლოგიურ და მაპროვოცირებელთა ჯგუფებად პირობითია, რამეთუ მათ შორის ზღვარის გავლება მეტწილად რთული ან შეუძლებელია. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ენაბლუობის გამომწვევთა ეს ორი ჯგუფი ურთიერთკავშირშია, ამა თუ იმ ფაქტორის უპირატეს მოქმედებას კი ხშირად პათოლოგიის საწყის ეტაპზე აქვს მხოლოდ აღგილი.

ენაბლუობის სიმპტომოკომპლექსი ასევე ორ ჯგუფად იყოფა: ფიზიკური, ანუ პირველადი და ფსიქოლოგიური, ანუ მეორადი [4]. ფიზიკურ სიმპტომებს ენაბლუობის მთავარი ნიშანი – მეტყველების პროცესში ჩართულ კუნთთა კრუნჩხვები განეკუთვნება. კრუნჩხვები ტონური ან კლონური ხასიათისა შეიძლება იყოს. ტონური კრუნჩხვებისას კუნთთა ხანგრძლივი ან ხანმოკლე შეკუმშვები ხდება, რასთანაც მეტყველების შესუსტება, დაყოვნება ან შეჩერება ასოცირდება. ტონური კრუნჩხვები წამები გრძელდება, მძიმე შემთხვევებში კი წუთსაც შეიძლება გადაამეტოს. ერთი და იმავე კუნთის რეგულარულმა კლონურმა კრუნჩხვებმაც ასევე წამები შეიძლება გასტანოს.

ტონური კრუნჩხვები, კლონურთან შედარებით, უფრო რთულ ფორმად მიიჩნევა. სელექტიური სახით კრუნჩხვებს იშვიათად აქვთ აღგილი: მათ

მეტწილად შერეული, ანუ ტონურ-კლონური ან კლონურ-ტონური ხასიათი აქვთ. როგორც ტონური, ისე კლონური შეკუმშვები სამეტყველო აპარატის კუნთებს გლობალურად მოიცავს. მათი ინიცირება სახმო და/ან საარტიკულაციო და/ან სასუნთქი აპარატის კუნთების ჩართულობით შეიძლება ხდებოდეს.

ემოციური დაბაბულობის ფონზე მეტყველების თანმდევ უნებლიერ შეკუმშვებს თავის, ხელების, მხრების, ფეხების, სხვა არასამეტყველო სტრუქტურათა კუნთებშიც შეიძლება პქონდეს ადგილი. ამ ექსტრაშეკუმშვებს სამეტყველო კუნთობრივ ცენტრებიდან მეზობელ არასამეტყველო და/ან შერეულ კუნთობრივ ცენტრებზე აგზნების გავრცელება განაპირობებს. მეტყველების თანმდევი არასამეტყველო კუნთობრი შეკუმშვები ამძიმებს ენაბლუს სტატუსს.

ენაბლუობასთან ასოცირებულ სიმპტომებს ხშირად ვეგეტაციური ნერვული სისტემის ძვრებიც განაპირობებს. სხვადასხვა ნერვული პათოლოგიებისას, მათ შორის, ენაბლუობისას თავის ტვინის ქერქის წამყვანი და მაკონტროლირებელი გავლენა ვეგეტოსისტემაზე სუსტდება, ამან კი შესაბამისი დამატებითი დარღვევები შეიძლება გამოიწვიოს. ვეგეტოდისფუნქციები არტერიული წნევის მერყეობებში, ტაქიკარდიასა და ჭარბ ოფლიანობაში კლინიდება. მეტყველებითი სისტემის კუნთობრი კრუნჩხვების ინტენსივობის გაძლიერებასთან ერთად, ვეგეტაციური დარღვევებიც მატულობს და ფართოვდება, რაც უკუზემოქმედების მექანიზმით დამატებით ასტიმულირებს კუნთობრი კრუნჩხვებს.

ჩამოთვლილი სიმპტომები უმეტესწილად სპონტანურად ინიცირდება, ამასთან, ჩვეულებრივ, ისინი ენაბლუობის დასაწყისიდანვე იჩენენ თავს. ამ თავისებურებათა გათვალისწინებით, ენაბლუობის საწყის მანიშნებლად სწორედ ეს სიმპტომები მიიჩნევა [4].

დისფონიასთან ერთად, მეტყველების მიმართ ბევრ ენაბლუს შიშიც, ანუ ლოგოფობიაც ეუფლება. ის როგორც ზოგადად მეტყველებასთან, ისე რომელიმე ცალკეული ბგერის თუ ბგერების წარმოთქმასთან შეიძლება ასოცირდებოდეს. შიშის ხშირად ვეგეტოდარღვევებიც ახლავს თან, რაც ენაბლუს სტატუსს დამატებით ამძიმებს. აკვიატებული აზრები ზოგიერთ ენაბლუში დროებითი და წარმავალია, სხვაში – მუდმივი, რაც მათში მტანჯველ შინაგანწყობას იწვევს. ენაბლუობის ინიცირებისთანავე ბავშვს ხასიათი ეცვლება. გარშემომყოფებთან მეტყველებით, ზოგიერთები ზოგჯერ ყოველნაირ ურთიერთობას გაურბიან. ენაბლუ ბავშვი მეტწილად საპუთარ თავში არის ჩაკეტილი, თამაშობს მარტო, ის თანატოლებთანაც კი გაურბის კონტაქტებს. თანმდევი ფსიქოლოგიური დაბაბულობები მას ხშირად მეტ პრობლემებს უქმნის, ვიდრე თავად ენაბლუობა, თუმცა მათგან ყველა სწორედ ლოგონევროზის პროდუქტია.

მოზარდი ენაბლუები სამ ჯგუფად ნაწილდებიან [7]. პირველის წარმომადგენლებს ლოგოფობია არ აღენიშნებათ და პათოლოგიის სურათი

მხოლოდ კრუნჩხვითი სიმპტომოკომპლექსით შემოიფარგლება. მეორე ჯგუფის ენაბლუებს, კუნთთა კრუნჩხვების გარდა, ზომიერი ხარისხის ლოგოფობიაც აღენიშნებათ. მესამე ჯგუფის ინდივიდები კრუნჩხვით სინდრომთან ერთად მკვეთრად გამოხატულ აკვიატებულ შიშთა მატარებლებიც არიან, ამასთან მათ ნაკლებად სჯერათ განკურნებისა და, შესაბამისად, მომავლისადმი პესიმისტურად არიან განწყობილნი.

სშირად ენაბლუში ფსიქოლოგიური ხასიათის სიმპტომები პროგრესირებს, თუმცა მარტინალი უარყოფითი დინამიკის დასრულებას არ უნდა დაფლოდოს და ის პათოლოგიური ფსიქოლოგიური სიმპტომოკომპლექსის ჩამოყალიბებამდე უნდა შეუდგეს პაციენტის გამოჯანმრთელების პროცესს.

ეტიოლოგიურ ფაქტორთა გათვალისწინებით, გამოყოფენ ენაბლუობის ნევროზულ და ნევროზისმაგვარ ფორმებს [6]. ნევროზული ენაბლუობა არსებული ფსიქიკური დარღვევების ფონზე ვთარდება. უშუალოდ ენაბლუობის გამოვლინებამდე მისი მატარებლები მომეტებული მგრძნობელობით, შფორთიანი ძილით, უმადობით ხასიათდებიან. ამგვარი სტატუსის ფონზე უმნიშვნელო ფსიქოლოგიური ტრაგმაც კი შეიძლება ენაბლუობის მაკროვოკირებელი გახდეს. საწყისი ენაბლუობა დამატებითი სიმპტომატიკით, მაგალითად, ფობიებით და საკუთარ დეფექტთა მიმართ უარყოფითი განცდებით შეიძლება დამძიმდეს. მეტ შემთხვევებში ენაბლუობას ტალღისებური მიმდინარეობა აქვს: ის ხან მძაფრდება, ხან – სუსტდება. ასეთი დინამიკა უფრო ნევროზული ენაბლუობისთვის არის დამახასიათებელი. ამ ტიპის ლოგონევროზთან თავის ტვინის ორგანული დაზიანება არ ასოცირდება, რაც პათოლოგიის ფუნქციურ ხასიათზე მიუთითებს.

დედის ორსულობის და/ან მშობიარობის თანმდევ თრგანულ დარღვევებს სშირად ნაყოფის პათოლოგიებიც სდევს თან [6]. საერთო განვითარების თუ მეტყველების ჩამოყალიბების პერიოდში რაიმე სხვა დისფუნქცია ბავშვს მეტწილად არ აღენიშნება. ჩვეულებრივ, ასეთი ბავშვები წლინახვრის ასაკში იწყებენ მეტყველებას.

ნევროზული ენაბლუობა მხოლოდ გარეგამოვლინებებით შეესაბამება სახელწოდებას: სპეციალური გამოკვლევებით მის მატარებელ ბავშვებს თავის ტვინის სტრუქტურული დაზიანება უდასტურდებათ [9]. პათოლოგიის არსზე ანამნეზიც მიანიშნებს, მაგალითად, მითითება მეტყველების დაგვიანებული დაწყების, დედის ტოქსიკური ორსულობის და/ან გართულებული მშობიარობის შესახებ. ასეთი ბავშვები, როგორც წესი, ლაპარაკს სამი წლის ასაკიდან, ანუ დაყოვნებით იწყებენ.

ნევროზული ენაბლუობის დაკავშირება რაიმე კონკრეტულ ფაქტორთან სშირად რთული ან პირობითია. პათოლოგიის დინამიკა ნელია, ამასთან რემისიები მისთვის არ არის დამახასიათებელი. ფსიქოლოგიური დარღვევებიც ნაკლებად არის გამოკვეთილი [7]. თავის ტვინის ორგანულ

ცვლილებათა გამო, ნევროზული ენაბლუობის დაძლევა, არანევროზულთან შედარებით, უფრო კვალიფიციურ და უფრო დროულ მიღების მოითხოვს.

ენაბლუ კომპლექსურად გამოიკვლევა. პროცესში მონაწილეობას უნდა იღებდნენ მეტყველების თერაპევტი ანუ ლოგოპედი, აუდიოლოგი, ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი. კვლევა ანამნეზის შეგროვებით იწყება. მოიპოვება ინფორმაცია დედის ორსულობის და მშობიარობის შესახებ. პარალელურად ირკვევა, როდის გამოვლინდა ენაბლუობა და რა შეიძლება ყოფილიყო მისი მიზეზი. ენაბლუობის საგარაულო ფაქტორთა გათვალისწინებით დგინდება, ნევროზულია თუ ნევროზისმაგვარი ენაბლუობა. მოიპოვება ინფორმაცია ბავშვის ცხოვრების პირობების, დღის რეჟიმის, ოჯახის წევრთა ურთიერთობათა შესახებ. მოძიებულ მახასიათუბელთა ნაკრები პათოლოგიის ბლოკირების სწორ დაგეგმვას განაპირობებს. ანამნეზის შეგროვებისას უნდა დაზუსტდეს აგრეთვე, რა მკურნალობა ჩაუტარდა ადრე ენაბლუს. დასადგენია ენაბლუს განწყობა მისი პრობლემების მიმართ. შემდგომ ეტაპზე განისაზღვრება მეტყველების სტატუსი. ირკვევა კუნთების რა ტიპის სპაზმებს აქვს ადგილი, არსებობს თუ არა მეტყველებასთან ასოცირებული უნებლივ მოძრაობები, აღენიშნება თუ არა ენაბლუს ფონიები და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება მეტყველების ტემპს ექცევა. დიქციის სტატუსი ხმამაღალი კითხვის პროცესშიც შეისწავლება. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, კეთდება დასკვნა ენაბლუობის ტიპის შესახებ. მოპოვებული მონაცემების ანალიზისას ენაბლუს პიროვნული თვისებებიც გაითვალისწინება. კომპლექსურ გამოკვლევათა შედეგებიდან გამომდინარე, შეირჩევა ენაბლუობის ჰაბილიტაციის/რეჟიმილიტაციის ადეპტატური პარადიგმა.

ენაბლუობის მკურნალობის მეთოდთა შორის დღეისთვის კომპლექსური მიღების დომინირებს, რომელიც სხვადასხვა პროცედურათა ჯამს წარმოადგენს. მკურნალობის პროცესში ენაბლუობა ინდივიდის პიროვნულ თვისებებთან, ნერვული სისტემის სტატუსთან, ყოფით პირობებთან კავშირში მეტყველების დარღვევის რთულ ფორმად განიხილება. ენაბლუობის ჰაბილიტაცია/რეჟიმილიტაცია სამედიცინო-კედაგოგიურ დონისძიებათა ნაკრებს მოიცავს: მთლიანად ორგანიზმის, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალური ნერვული სისტემის გამოჯანმრთელება, ფსიქოთერაპია, ლოგო-თერაპია, სოციალური გარემოს და ყოფითი პირობების ოპტიმიზაცია. ენაბლუზე საჭიროა მოხდეს ფსიქოლოგიური ზემოქმედებებიც.

ენაბლუს ნერვულ სისტემაზე ზემოქმედება ზოგადი თერაპიის ჭრილშიც არის აუცილებელი. ნევროზის და მასთან დაკავშირებული ვეგეტო-დისფუნქციების ბლოკირების შედეგად ენაბლუს მეტყველების სტატუსი უმჯობესდება, შინაგანი სიმშვიდე მატულობს, განწყობა სტაბილიზდება, მყარდება ენაბლუობის დაძლევისადმი რწმენა. მკურნალობის ეს ნაწილი ფიზიოთერაპიული მიღების და მედიკამენტების გამოყენებას ითვალისწინებს და მშობლებთან უშუალო კავშირში ნევროპათოლოგის მიერ

რეალიზდება. არსებითია წყნარი ოჯახური გარემო – შიდა კონფლიქტების ფონზე მედიკამენტოთერაპია, როგორც წესი, ნაკლებ ან არაეფექტურია. ღიდი მნიშვნელობა ენიჭება ნერვული სისტემის ნორმალიზაციაში დღის ადეკვატური რეჟიმის, შრომისა და დასვენების ოპტიმალური ბალანსის შერჩევას, სრულყოფილ გამოძინებებს, სუფთა პაერზე ხშირ სეირნობებს, სპორტის შედარებით მშვიდ სახეობებში, მაგალითად, ველოსპორტში, სირბილში, ცურვაში ვარჯიშებს. მშობლების ჩართულობის გარეშე ბაგშვის ცხოვრების სათანადო რეჟიმის ორგანიზება რთული ან შეუძლებელია.

ენაბლუობის თანმხლები სომატური დაავადებები უარყოფითად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, რაც მეტყველების ფუნქციაზეც უარყოფითადვე აისახება. შედეგად, ენაბლუობის ბლოკირების შანსები ქვეითდება. შესაბამისად, ენაბლუობასთან სომატურ დაავადებათა თანაარსებობის შემთხვევებში მათი დროული მკურნალობაც არის აუცილებელი, რაც პროფესიულ ჭრილში შესაბამისი სპეციალიზაციის ექიმებმა უნდა წარმართონ.

ფსიქოთერაპიის მიზანია ენაბლუმ შეცვალოს მეტყველების დეფექტის მიმართ დამოკიდებულება, რათა არასრულფასოვნების კომპლექსი გაუნელდეს და სრულყოფილ პიროვნებად იგრძნოს თავი. ფსიქოთერაპია ფსიქოლოგიური დარღვევების, უპირველეს ყოვლისა, ფობიების ბლოკირებისკენ არის მიმართული. ფობიების შემცირების ან გაქრობის ფონზე მეტყველებითი კრუნჩხვებიც სუსტდება, იშვიათდება ან ანულირდება კიდეცხაზგასასმელია, რომ სწორედ ფსიქოდარღვევების და ფობიების ბლოკირება წარმოადგენს ენაბლუობის მთავარ მიზანს.

ლოგონევროზის ფსიქოთერაპია რაციონალურს, ანუ გააზრებულს და შთაგონებითს, ანუ შეთავაზებითს (suggestive) მოიცავს და რაციონალური ასენა-დარწმუნების ფორმით ენაბლუს შეგნებაზე ზემოქმედებისკენ არის მიმართული. ინდივიდუალური მიღომებით თითოეულ ენაბლუს პათოლოგიის მიზეზები და მკურნალობის სტრატეგია განემარტება, დეტალიზდება დავალებები, ხაზი ესმება პაბილიტაციის/რეპაბილიტაციის პროცესში თავად ენაბლუს განწყობისა და მონდომების მნიშვნელობას. შეთავაზებითი ფსიქოთერაპია ენაბლუს ცნობიერებაზე ზემოქმედებისკენ არის მიმართული. ფსიქოლოგიურ სტაბილიზაციას გარკვეულწილად პიპოზიც უწყობს ხელს. მეტყველებითი თერაპია კომპლექსური მკურნალობის მნიშვნელოვანი შემადგენელია და ლოგოპედის მიერ ენაბლუს და მის გარშემომყოფთა აქტიური თანამონაწილეობით რეალიზდება. მეტყველების პაბილიტაციის/რეპაბილიტაციის ძირითადი ამოცანა ენაბლუს ვოკალური, საარტიკულაციო, რესპირატორული სისტემების კოორდინირებულ მოქმედებათა ოპტიმიზაციაა. მეტყველების პროცესში სუნთქვის სწორ მართვას, სმის არაფორმისირებულ ჩართვას, სიტყვების მშვიდად წარმოთქმას ექცევა განსაკუთრებული ყურადღება. ლოგოსეანსების პროცესში ბავშვი სახმო ვარჯიშებს თანდათან ითვისებს. სპეციალური მიღომებით მიღწეული

ჯანსაღი მეტყველება რეგულარული გამეორებებით სტაბილიზდება. შედებად, ენაბლუ ათვისებულის სისტემატურ გამოყენებას იწყებს.

ფონიატრული ვარჯიშებით ლოგონევროზის მკურნალობა ენაბლუს და ფონიატრის მიერ სამეტყველო მასალის სინქრონული წარმოთქმებით იწყება, შემდგომ - მიბაძვითი მიდგომები მოიხმობა, ბოლოს - მეტყველებითი რიტმიკა აითვისება. ლოგოსეანსების პროცესში მეტყველებითი სააზმების შესუსტება, გაიშვიათება, გაქრობა დადებით ფსიქოლოგიურ ზემოქმედებებს ახდენს ენაბლუზე და შემდგომი აქტიონებისკენ განაწყობს მას. ამა თუ იმ ტექსტის ხმამაღალი წაკითხვებიც უნდა იქნას ენაბლუს მიერ რეგულარულად მოხმობილი. ზოგადად, კითხვის გამოყენება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ენაბლუ თუნდაც დამაკმაყოფილებლად ფლობს მის ტექნიკას. რამდენად აქვს ენაბლუს დარღვეული მეტყველების ტემპი და რიტმი, ჰაბილიტაციის/რეპაბილიტაციის პროცესებში სწორედ ლოგორიტმიკის ნორმალიზაციას ექვევა განსაკუთრებული უკრადღება. ლოგოსეანსებში მიღწეული რიტმული მეტყველება თანდათანობით ცხოვრებისეულ სიტუაციებზეც გადაიტანება.

ენაბლუობის ადეკვატური საკორექციო მეთოდის შერჩევა მკურნალობის დასაწყისშივე მნიშვნელოვანი. ნათქვამში, უპირველეს ყოვლისა, სწრაფად და მკვეთრად ჩამოყალიბებული ენაბლუობა იგულისხმება, რაც მეტწილად ფსიქოტრაფმის თანმდევია. ასეთ შემთხვევებში ბავშვის სამეტყველო აპარატს საწყის ეტაპებზე მოსვენების საშუალება უნდა მიეცეს. შესაბამისად, მშობლებს ეძლევათ რჩევა, პირველ ხანებში უზრუნველყონ გარშემოყოფთაგან ბავშვის მეტყველებითი იზოლაცია.

ენაბლუობის დაძლევაში მნიშვნელოვანი ფაქტორი ბავშვის გარშემო კეთილგანწყობილი სოციალური გარემოს შექმნაა. გარშემომყოფებში, უპირველეს ყოვლისა, მშობლები იგულისხმებიან. ლოგოპედი უნდა ცდილობდეს ენაბლუ ბავშვის ჰაბილიტაციის/რეპაბილიტაციის პროცესში ოჯახის ყველა წევრი გაიხადოს მოკავშირედ. ახლობლების თანადგომა სისტემატურად უნდა მოიხმობოდეს. მკურნალობის შემდგაც გარშემომყოფებმა ბავშვს ყოველნაირი მხარდაჭერა უნდა გაუწიონ.

სამედიცინო-პედაგოგიური პროფილის საჭაბილიტაციო/სარეპაბილიტაციო ყველა დონისმიერი თითოეულ ენაბლუში ბოლომდე უნდა შესრულდეს. არაკორექტულად მიწოდებულ თუ არასათანადოდ ათვისებულ მეტყველებას ბავშვი სწრაფად ივიწყებს. ასეთ შემთხვევებში მეტყველებითმა კრუნჩევებმა შეიძლება კვლავ იჩინოს თავი.

აუცილებელია მკურნალობის რეგულარული სეანსების ჩატარება. სეანსთაშორისო ინტერვალები 20-30 დღეს უნდა შეადგენდეს. პაუზების პერიოდში ლოგოპედის მიერ დაგეგმილი მეცადინეობები ოჯახში უნდა გრძელდებოდეს. ასეთ შემთხვევებში ბავშვის მეტყველება უფრო სწრაფად ჰაბილი-

ტირდება/რეპარატურული ტირდება. სამკურნალო ღონისძიებების შეწყვეტა ხშირად ენაბლუობის განახლების მიზეზი ხდება. სწორედ უწყვეტი და კორექტული მკურნალობა არის სასურველი შედეგის გარანტი.

၁၁၆၀၁၃၆၄

ଲୋକପାତ୍ରଙ୍କା

1. Ծրագրօծ Ե., ուժի մեջ մտնող թ., Հայաստանի պահանջման թ., ՀՀ Հանձնաժողով Ե. Տայք. Թյալք. Տայք. Եղբայրություն, 2019, 45, 1-2, 15-25.
 2. Давиденков С.Н. Неврозы. Москва, 1963.
 3. Ковшиков В.А. Специфика заикания при различных нервно-психических расстройствах. Педагогические пути устранения речевых нарушений у детей. Ленинград, 1976.
 4. Неткачев Д.Г. Клиника и психотерапия заикания. Москва, 1913.
 5. Селивертов В.И. Заикание у детей. Москва, 1979.
 6. Хватцев М.Е. Логопедия. Москва, 1959.
 7. Шкловский В.М. Психотерапия в комплексной системе лечения логоневрозов. Руководство по психотерапии. Москва, 1974.
 8. Bloodstein O. A handbook of stuttering. Clifton Park, 2007.
 9. Guitar B. Stuttering. New York, 1991.

ЛОГОНЕВРОЗ, Т.Е. ЗАИКАНИЕ: ПРОВОЦИРУЮЩИЕ ФАКТОРЫ, ПАТОГЕНЕЗ, ПРОЦЕДУРЫ АБИЛИТАЦИИ/РЕАБИЛИТАЦИИ, ПЕРСПЕКТИВЫ ИЗЛЕЧЕНИЯ

*Мзия Зенанишвили,¹ Михаил Тушиншвили,¹ Шота Джапаридзе,²
Зураб Кеванишвили¹*

¹ Национальный центр аудиологии; ² Национальный центр оториноларингологии;
Тбилиси, Грузия

РЕЗЮМЕ

Несмотря на широкую распространенность, по сей день в Грузии не было научной публикации по логоневрозу, т.е. заиканию. В настоящей работе охарактеризована данная патология. Поясняется, что логоневроз отражает нарушения темпа и ритма речи, продуцируемые спазмами артикуляционных мышц. Подчеркивается, что недуг может быть наследственным или приобретенным. Перечислены факторы, провоцирующие логоневроз: осложнения беременности и/или родов, тяжело протекающие и/или частые соматические заболевания, отставание в формирование речи, конфликтные ситуации в семье и/или в окружающей общественной среде. Симптомы заикания делятся на физические и психологические. Физические проявляются в судорогах мышц, вовлеченных в речеобразование, психологические же отражают фобии. Дифференцированы невротический и неврозоподобный типы логоневроза. Невротический тип возникает на фоне психических расстройств, связать же медленнее протекающий неврозоподобный с каким-либо конкретным фактором часто сложно или невозможно. Подчеркивается, что лечение заикания требует комплексного привлечения медицинских и педагогических процедур и предусматривает психотерапию, улучшение социальной среды и бытовых условий пациента и санацию всего его организма, в первую очередь, центральной нервной системы. Декларирована необходимость лечения соматических заболеваний, сопровождающих болезнь. Заявляется, что психотерапия направлена на блокирование когнитивных сдвигов заики, целью же речевой терапии, т.е. логопедии является обеспечение синхронного и корректного функционирования дыхательного, голосового, артикуляционного аппаратов страдающего. Особое внимание уделяется нормализации логоритмики. Задачей регулярных речевых упражнений является корректирование активности слухо-речевого центра в коре головного мозга. Достижения, зафиксированные в логосеансах, постепенно распространяются на жизненные ситуации. Указывается, что важным моментом преодоления заикания является обеспечение индивида благоприятной социальной средой. Подчеркивается важность регулярности лечебных процедур – паузы между ними могут стать причиной ремиссии заиканий. Подчеркивается, что именно адекватное лечение и активное вовлечение родителей в процесс проводимых процедур являются гарантом желаемого исхода.

**LOGO-NEUROSIS, I.E. STUTTERING: PROVOKING FACTORS,
PATHOGENESIS, HABILITATION/REHABILITATION MEANS,
HEALING PERSPECTIVES**

Mzia Zenaishvili,¹ Mikhael Tushishvili,¹ Shota Japaridze,² Zurab Kevanishvili¹

¹ National Centre for Audiology; ² National Centre for Otorhinolaryngology; Tbilisi, Georgia

SUMMARY

Despite excessive incidences, no scientific paper existed up to now in Georgia dealing with logoneurosis, i.e. stuttering. In the present essay the views over are collated. Logo-neurosis is confirmed to reflect speech tempo and rhythm alterations due to voice-producing muscle spasms. The disorder is either congenital or acquired. Complicated pregnancy and/or delivery, heavy and/or recurred somatic illnesses, speech-formation delay, conflicting family/social situations appear the provoking factors. Logo-neurosis covers physical and psychological symptoms. Physicals are manifested in contractions of speech-producing muscles, while psychological – in phobias. Neurotic and neurotic-like stuttering types are differentiated. Neurotics occur against the background of psychological disorders, while the linkage of slower coursed neurotic-likes with any concrete factor is mainly difficult. It is emphasized that the stuttering treatment demands an application of both medical and pedagogical procedures and aims the cure of total organism, particularly of CNS, and the improvement of sufferer's social and mode-of-life conditions. The necessity of the cure of associated diseases is declared. It is stated that psychotherapy implies the blocking of mental disturbances, while speech therapy aims the establishment of coordinated and adequate actions of respiratory, voice, and articulation systems. In habilitation/rehabilitation procedures a particular attention is focused on the initiation of well-balanced logo-rhythms. The improvement of hemisphere speech-center function is the main target of articulation exercises applied. The attained achievements are successively spread over daily situations. The favorable social environments around are considered to be important in disease defeat. The significance of regular application of habilitation/rehabilitation means is emphasized the pauses between being judged as the expected cause of habit remission. Just adequate treatment and active involvement of family members in employed affairs guarantee the positive care output.

କାଣ୍ଡିଆପୋଳି ପାଶିଲେନ୍ଦ୍ର ତଥାରୁ WISTAR-୦୧ ଏବଂ ଶାଖା
ଫିଲ୍ଡରିଙ୍ଗୁଲି ପାରିତାବିହୀନ କାଣ୍ଡିଆପୋଳି ଏବଂ ପାରିତାବିହୀନ
ପାରିତାବିହୀନ କାଣ୍ଡିଆପୋଳି ଏବଂ ପାରିତାବିହୀନ

გორგი იორდანიშვილი,¹ თრაკლი მასტერაძე,¹ მანანა ფრუბაძე,²
ნინო ხვიტია,² მაია ჯონსონი,³ თრინი პეტრაძე²

¹ Օ. ԾԵՐՈՅԱՌՅՈԼՈՒՄ ՀԵՏՎԵՐՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ԴԱՐՄԵԴԱԿՈՒՅՆՈՒՄ, ՅԵՆՔՐՈ, ԹԸՆՈՂՈՒՄ;

² თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; ³ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შრომაში წარმოდგენილია შავ პიბრიდულ და თეთრ Wistar-ის გირთაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები. შავი ფერის პიბრიდული ვირთაგვები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რადიობიოლოგიისა და რადიოექოლოგიის ცენტრში Wistar-ისა და *Rattus Norvegicus* ხაზების შეჯვარების შედეგად და შემდეგ ინბრინდინგის გზითაა გამოყანილი. შრომის მიზანი იყო შეგვესწავლა და გაგვერდია პიბრიდული ცხოველების რადიობიოლოგიური, ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური თავისი ურებელები.

გაირკვა, რომ შავი ფერის ვირთაგვების თავისი ტვინში, დღიძლსა და ელენთაში ენდოგენური რადიოპროტექტორების – კატეპლამინების, სეროტონინის, დაკავშირებული და თავისუფალი სულფაიდრილის ჯგუფების შემცველი ნაერთების რაოდენობრივი მომატება განაპირობებს ცხოველის რადიორეზისტენტობის ზრდას, აადგილებს განრიდების ოქაციის გამომუშავებას, აუმჯობესებს სისხლის მორფოლოგიურ მაჩვენებლებს, ცხოველთა ქცევას დია გელში და აძნელებს პირობით-რეალუაქციური ხასიათის რეაციის გამომუშავებასა და შემონახვას.

საკვანძო სიტყვები: რადიომგრძნობელობა, რადიოპროგრამები, კატეგოლამინები, სერობრუნინი, სულფიდრილის ჯგუფები, დია გელი

ცოცხალი ორგანიზმები რადიომგრძნობელობით ძალზედ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. განსხვავება შეიმჩნევა არა მარტო ფილოგენეტიკურად განსხვავებულ ჯგუფებს შორის, არამედ სახეობების შიგნითაც. ცნობილია, რომ სახეობის შიგნით, ანუ ეწ. ინდივიდუალურ რადიომგრძნობელობას ორგანიზმში ენდოგენური რადიოდამცველი ნივთიერებებისა და რადიოსენსიბილიზატორების თანაფარდობა განსაზღვრავს. შედეგი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი სისტემა ჭარბობს [1-3]. ენდოგენური რა-

დიოდამცველი ნივთიერებებიდან მნიშვნელოვანია სეროტონინის, პისტამინის, კატექოლამინების (ნორადრენალინის, დოფამინის), თავისუფალი ამინომჟავებისა და სულფაზიდრილის ჯგუფების შემცველი ნაერთების რაოდენობა. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, დაისვა საკითხი – გაირკვეს განსხვავდებიან თუ არა ინბრინდინგის გზით მიღებული პიბრიდული შავი და Wistar-ის თეთრი ფერის ვირთაგვები რადიომგრძნობელობით, ენდოგენური რადიოპროტექტორების, ბიოგენური ამინების და სულფაზიდრილის ჯგუფების შემცველი ნაერთების ცვლით და თუ განსხვავდებიან, გაირკვეს როგორ აისახება ეს ცვლილებები ცხოველის ინდივიდუალურ ქცევაში.

მასალა და მეთოდები

შავი პიბრიდული და თეთრი ვირთაგვების ორი ჯგუფი (40-40 ცხოველი ჯგუში) იმყოფებოდა ვივარიუმისთვის განკუთვნილ სტანდარტულ კვებით რაციონზე. საკვების ოდენობა ცხოველებს მასაზე დამოკიდებულებით ეძლეოდათ (დღიურად საკვების მასა – ცხოველის მასის 1/8 გ შეადგენდა).

ცხოველთა დასხივების პირობები. ცხოველები ტოტალურად სხივდებოდნენ დოზით: 5, 7.5 და 10 გრე, აპარატ PUM-17-ზე (150 kV და 1.5 mA). ფილტრები: Cu – 0.5 მმ, Al – 1.5 მმ. დოზის სიმძლავრე – 1.23 გ/წთ. **კატექოლამინისა და სეროტონინის რაოდენობები** თავის ტვინში, ღვიძლსა და ელენთაში ისაზღვრებოდა თხიური ქრომატოგრაფიული მეთოდით [3]. **სულფაზიდრილის თავისუფალი და საერთო ჯგუფების შემცველი ნაერთების რაოდენობა** თეთრი და შავი ფერის პიბრიდული ცხოველების თავის ტვინში, ღვიძლსა და ელენთაში ისაზღვრებოდა სედლაკის მეთოდით [4].

შავი პიბრიდული და თეთრი ვირთაგვების მეხსიერების სხვადასხვა ფორმების გასარკვევად ვიყენებდით ე.წ. „ესმანის კამერას“ (პასიური განრიდების რეაქციის შესასწავლად), რომელიც ნათელი და ბნელი განყოფილებებისგან შედგებოდა და ერთმანეთთან დაკავშირებული იყო ხვრელით. ნათელ განყოფილებაში ჩასმული ცხოველი ხვრელით გადადიოდა ბნელ განყოფილებაში, სადაც 5 წამის განმავლობაში იღებდა წყვეტილ ელექტრულ გაღიზიანებას (30 ვოლტი). თუ ცხოველი არ უბრუნდებოდა ნათელ განყოფილებას, მაშინ იგი ამოგვყავდა ბნელი განყოფილებიდან. შიშის რეაქცია ბნელი კამერის მიმართ, ანუ პასიური განრიდების რეაქცია გამომუშავებულად მიიჩნეოდა, თუ ნათელ განყოფილებაში ჩასმული ცხოველი ერთის განმავლობაში აღარ შედიოდა ბნელ კამერაში.

აქტიური განრიდების პირბითი რეაქციის შესწავლა ხდებოდა მტკიცნეულ გაღიზიანებაზე ორმხრივი განრიდების მეთოდით. აქტიური განრიდების პირბითი რეაქციის გამომუშავებას ვახდებით 47 x 60 სმ საკანში, რომელიც 12 სმ სიმაღლის თევზირით ორ განყოფილებად იყო გაყოფილი. საკნის თითოეული განყოფილების იატაკი ელექტროფიცირებული იყო, რომელზედაც მონაცვლეობით ელექტროდენი (40 ვოლტი) ირთვებოდა. ამ მიზნით პირობითი

გამდიზიანებელი – სინათლე ირთვებოდა 1-1.5 წუთიანი ინტერვალით და მე-6 წამზე უდლდებოდა ელექტრულ გაღიზიანებასთან. მტკიცნეული გაღიზიანების-თვის თავის დასაღწევად ცხოველი ყოველდღიურად 20 შეუდლებას იღებდა. რეაქცია გამომუშავებულად ითვლებოდა, თუ პირობით გამდიზიანებელზე პასუხი უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში 90-100%-ს აღწევდა.

ცხოველის მოძრაობითი და ემოციური აქტიურობის შეფასება ხდებოდა დღის ველის მეთოდით.

შედეგები და მათი განხილვა

თეთრი Wistar-ის და შავი ჰიბრიდული ცხოველების რადიომგრძნობელობის გასარკვევად ცხოველებს ვასხივებდით 5, 7.5 და 10 გრეით. რადიომგრძნობელობა ფასდებოდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობების შედარებით. გაირკვა, რომ შავი ფერის ცხოველების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ყოველთვის აღემატებოდა თეთრი ფერის ცხოველებისას. თუ 5 გრეით დასხივებულ Wistar-ის ცხოველთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 96.2 ± 1.8 დღე იყო, ჰიბრიდული ცხოველებისთვის იგი 120.3 დღეს შეადგენდა. ანალოგიური სურათი იყო 7.5 და 10 გრეით დასხივებული ცხოველების შემთხვევაშიც [1]. შავი ფერის ცხოველების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ყოველთვის აღემატებოდა თეთრი ფერის ცხოველებისას.

ბიოგენური ამინების რაოდენობრივი განაწილების შეხწავლამ გვიჩვენა ჰიბრიდული შავი ფერის ცხოველების თავის ტვინის ჰემისფეროებსა და ჰიპოკამპში კატექოლამინების რაოდენობის მატების ტენდენცია. თავის ტვინის სტრუქტურებში სტატისტიკურად სარწმუნოდ იმატებს სეროტონინის რაოდენობა: ჰემისფეროების წინა ნაწილში – 21.9 %, ჰემისფეროების უკანა ნაწილში – 24.0 %-ით, ჰიპოკამპში კი – 27.3 %-ით (ცხრილი 1).

ცხრილი 1

ბიოგენური ამინების განაწილება Wistar-ის თეთრი და ჰიბრიდული შავი ფერის ცხოველებში (მგ/გ)

ბიოგენური ამინები	ჰემისფეროების წინა ნაწილი		ჰემისფეროების უკანა ნაწილი		ჰიპოკამპი	
	თეთრი	შავი	თეთრი	შავი	თეთრი	შავი
ნორადრენალინი	0.430+0.01	0.488+0.02	0.368+0.02	0.377+0.02	0.648+0.03	0.612+0.03
ცვლილება		+7.7%	+2.4%		-5.9%	
დოფამინი	0.405+0.01	0.435+0.02	0.520+0.03	0.574+0.02	0.878+0.03	0.928+0.03
ცვლილება		+7.4%	+10.4%		+5.7%	
სეროტონინი	0.352+0.01	0.429+0.02	0.366+0.02	0.454+0.02	0.554+0.02	0.704+0.02
ცვლილება		+21.2%	+24.0%		+27.2%	

ენდოგენური რადიოპროტექტორებიდან ბიოგენური ამინების გარდა მნიშვნელოვანია ის ამინომჟავები, რომლებიც სულფჰიდრილის ჯგუფებს შეიცავს (ცისტეინი, ცისტინი და მეთიონინი). ეს ამინომჟავები ორგანიზმში გვხვდება როგორც თავისუფალი, ისე ბმული სახით (ცილებში, გლუტათიონში). ჩატარებული ექსპერიმენტით გაირკვა, რომ პიბრიდული ცხოველების თავის ტვინში მატულობს როგორც თავისუფალი, ისე საერთო სულფჰიდრილის ჯგუფების შემცველი ნაეროების რაოდენობა. ცვლილებები სტატისტიკურად სარწმუნოა (ცხრილი 2).

ცხრილი 2

სულფჰიდრილის ჯგუფების რაოდენობა თეთრი და შავი ცხოველების თავის ტვინში ($M \pm m, n = 15$)

სულფჰიდრილის ჯგუფები	Wistar-ის თეთრი ცხოველები	პიბრიდული შავი ცხოველები	სხვაობის საშუალო
თავისუფალი	1.71 ± 0.12	2.38 ± 0.11	$+ 0.67 \pm 0.16$
საერთო	37.16 ± 1.22	41.32 ± 1.45	$+ 4.16 \pm 1.15$

გისტარისა და პიბრიდული ცხოველების სისხლის საერთო ანალიზიც შეიძლება: პიბრიდულ ვირთაგვებში მომატებულია ჰემოგლობინის (195 გ/ლ) და ერიოროციტების (9.8 მილ/მკლ) რაოდენობები, ცდომილების ფარგლებშია ლეიკოციტების რაოდენობა, პრაქტიკულად არ იცვლება ნეიტროფილების, ეოზინოფილების, ლიმფოციტებისა და მონოციტების რაოდენობები. მცირდება ერიოროციტების დალექცის სიჩქარე.

Wistar-ის და პიბრიდული ცხოველების ეტიოლოგიური მონაცემების შედარებაში ღელში ცხოველის მოძრაობით აქტიობაში მნიშვნელოვანი განსხვავება გვიჩვენა ცენტრალური უჯრიდან გამოსვლაზე დახარჯული დროით, გადაკეთილი უჯრების რიცხვით, ტრანსლოკაციაზე დახარჯული დროის რაოდენობებით. პიბრიდული ვირთაგვები თრჯერ უფრო გვიან გამოიიდნენ ცენტრალური წრიდან, ვიდრე Wistar-ის ხაზის ვირთაგვები (1.9 ± 0.6 ; 4.2 ± 0.8), მათ შორის განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოა ($p < 0.05$). შავი ვირთაგვები უფრო სწრაფად მოძრაობენ, რაც ჩანს გადაკეთილი უჯრების მეტი რიცხვით (50.3 ნაცვლად 26.2) და უჯრის გადაკეთაზე დახარჯული საშუალო დროის სიმცირით (49.6 ± 4.2 ; 35.0 ± 4.0). განსხვავება შეიძლება ვირთაგვების საორიენტაციო-კლევითი აქტიობის მაჩვენებლების მიხედვითაც. პიბრიდულ ცხოველებში, თეთრ Wistar-ის ხაზის ვირთაგვებთან შედარებით, ვერტიკალურ წამოდგომათა რიცხვი 2-ჯერ არის მომატებული (2.5-ის ნაცვლად 5.2, $p < 0.001$). სტერეოტიპული მოძრაობების კვლევისას აღმოჩნდა, რომ Wistar-ის და პიბრიდული შავი ფერის ვირთაგვებს შორის გრუმინგების შესრულებაზე დახარჯული დრო 5-ჯერ აღემატება თეთრი ვირთაგვების მიერ დახარჯულ დროს (1.9 ± 0.3 ; -10.5 ± 2.1). ექსპერიმენტებით დადგინდა პიბრიდული ცხოველების მომა-

ტებული ემოციურობა ბოლუსების რაოდენობით (0.5 ± 0.2 -ის ნაცვლად 2.9 ± 0.3) და ურინაციების რიცხვის სიხშირით (2.1 ± 0.2 -ის ნაცვლად 4.2 ± 0.3).

ფსიქონერვულ-ხატისმიერი მეხსიერების (ი. ბერიტაშვილის კლასიფიკაციით) შესწავლამ გვიჩვენა, რომ შავი ფერის პიბრიდულ ვირთაგვებში ერთხელობრივი ელექტრული გაღიზიანება ბნელ კამერაში შიშის რეაქციის გამომუშავებას (პასიური განრიდების რეაქცია) ააღვილებს. მათ შიშის რეაქცია ექსპერიმენტიდან ერთი თვის შემდეგ შემორჩენილი პქონდათ $90\text{-}95\%$ -ით, მაშინ როდესაც თეთრი ფერის ვირთაგვებში პასიური განრიდების რეაქციის შემონახვა არ აღემატებოდა $75\text{-}80\%$ -ს. ცნობილია, რომ პირობითი და უპირობო გამდიზიანებლის მრავალჯერადი შეუძლების შედეგად ცხოველებში ყალიბდება მტკიცე დროებითი კავშირები, რომლებიც ივ. ბერიტაშვილის მიერ მოწოდებული კლასიფიკაციით პირობითი მეხსიერების კატეგორიას განეკუთვნება. ჩვენს ექსპერიმენტში პირობით სიგნალად გამოყენებული იყო სინათლე, უპირობო გამდიზიანებლად – დენის დარტყმა. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ პიბრიდული ხაზის ცხოველებს სინათლით გამოწვეული პირობით-რეცლექსური ნახტომები გაუწნდათ უფრო გვიან და როცა მუშაობის მე-10 დღეს თეთრ ვირთაგვებში დადებით რეაქციათა რიცხვმა $90\text{-}100\%$ მიაღწია, შავებისთვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ $60\text{-}65\%$ იყო.

ამრიგად ირკევა, რომ პიბრიდული ვირთაგვების უფრო მაღალი ემოციურობა (გრუმინგი, დეფეკაცია, ურინაცია) ააღვილებს შიშის რეაქციის გამომუშავებას მტკიცნეულ გაღიზიანებაზე ესმანის კამერაში, ხოლო იგივე მომატებული ემოციურობა ამნელებს აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავებასა და შემონახვას.

ლიტერატურა

1. იორდანიშვილი გ., ნადარეიშვილი დ., მაისურაძე ი., ვებუ რ. საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2017, 43, 3-4, 129-132.
2. იორდანიშვილი გ., მაისურაძე ი., ვებუ რ. საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2017, 43, 5-6, 225-229.
3. Гончаренко Е.Н., Кудряшов Ю.Б. В кн.: Гипотеза эндогенного фона радиорезистентности. Изд. Московского университета, 1989, 1-176.
4. Надареишвили К.Ш., Ормоцадзе Г.Л. и др. Агрессивное поведение и радиочувствительность животных. Радиационная биология и радиоэкология. Москва, Россия, 2007, 4, 481-492.
5. Николаишвили М.И., Иорданишвили Г.С., Мелитиаури Н.Д. Агрессивное поведение и радиочувствительность крыс. Юбилейная конференция к 130-летию со дня рождения Л.А. Орбели. Ереван, Армения, 2012, 238-242.
6. Sedlak J., Lyndsay R.H. Analytical Biochemistry, 1968, 25, 192-205.

ВЛИЯНИЕ РАДИАЦИИ НА ВЫЖИВАЕМОСТЬ, ПОВЕДЕНИЕ И НЕЙРОХИМИЧЕСКИЕ КОРРЕЛЯТЫ БЕЛЫХ И ЧЕРНЫХ КРЫС

Георгий Иорданишвили,¹ Ираклий Майсурадзе,¹ Манана Прудзе,² Нино Хвития,² Майя Джонсон,³ Ирина Квачадзе²

¹ Экспериментальный центр биомедицины им. И. С. Бериташвили, Тбилиси;

² Тбилисский медицинский государственный университет;

³ Батумский государственный университет

РЕЗЮМЕ

Целью работы являлось изучение зависимости индивидуальной радиочувствительности белых и черных крыс, которые были выведены скрещиванием между Wistar и Rattus Norvegicus. Показано, что черные крысы более резистентны к облучениям, у них облегчается выработка реакции избегания на болевое раздражение, улучшается поведение в открытом поле и морфологические показатели крови. Ухудшается выработка и сохранение условной реакции активного избегания.

INFLUENCE OF RADIATION ON RADIO-SENSITIVITY, BEHAVIOR, AND THEIR NEUROCHEMICAL CORRELATES OF WHITE WISTAR AND BLACK HIBRID RATS

Giorgi Iordanishvili,¹ Irakli Maisuradze,¹ Manana Pruidze,² Nino Khvitia,² Maia Jonson,³ Irine Kvachadze²

¹ I. Beritashvili Center for Experimental Biomedicine, Tbilisi;

² Tbilisi State Medical University;

³ Batumi State University

SUMMARY

The results of experiments conducted on black hybrid and white Wistar breed rats are presented in this work. Black hybrid rats were received by coupling and inbreeding of Wistar and Rattus Norvegicus line rats in the Center for Radiobiology and Radiation Ecology of Georgian Academy of Sciences. The aim of current project was to investigate radiobiological, physiological and biochemical peculiarities of hybrid animals.

It was found out that a quantitative increase of endogenous radio protectors: catecholamine, serotonin, bound and free sulphydryl group containing substances in the brain, liver and spleen of black rats increase radio resistance of animals, ease an elaboration of passive avoidance reaction, improve blood morphological indices, animals behavior in the “Open field” and complicate the generation and memorizing of conditioned reflex reaction.

აიზ ინფექცია/შიდსით დაავადებული აღავიანების

რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

საქართველოში

**გამატერინე მირგელაშვილი, თამარ ხაჯომია,
გამატერინე კაგაჩევიშვილი, ქეთევან არახამია**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი
ჯანდაცვის, მენეჯმენტის, ეკონომიკისა და პოლიტიკის დეპარტამენტი

ჩვენი კვლევა ეხებოდა აიზ ინფექცია/შიდსით დაავადებული ადამიანების რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებს საქართველოში, რომელიც ჩატარდა კვლევის თვისობრივი მეთოდის გამოყენებით, ხოლო ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა ჩაღრმავებული ინტერვიუ. კვლევის მიზანს წარმოადგენდა აიზ ინფექცია/შიდსით დაავადებული ადამიანების რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგრამარეობის, მათი უფლებების და ამ უფლებების რეალიზების ანალიზი. ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დღესდღვეობით საქართველოში ადრინდელთან შედარებით უკეთესი რეალობა გვაქვს, თუმცა არა იდეალური, არის ინფორმირებულობის დაბალი დონე, ტარდება არასაკმარისი ქმედითი ღონისძიებები და აიზ ინფექცია/შიდსით დაავადებულ პირებში გარკვეულწილად ჯერ კიდევ შეზღუდულია თავისუფალი არჩევანი, უფრო მეტად ეს ეხება სამედიცინო სფეროს.

საკვანძო სიტყვები: აიზ ინფექცია/შიდსი, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ხარისხის კვლევა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლება

რეპროდუქციული ჯანმრთელობა არის სრული ფიზიკური, ემოციური და სოციალური კეთილდღეობა და არა უბრალოდ დაავადებების და/ან ზოგადი უძლეურების არარსებობა რეპროდუქციული სისტემის ფუნქციობაში [1, 3, 5]. ეს განსაზღვრება მიღებულია 1994 წელს, ქაიროს საერთაშორისო კონფერენციაზე (<http://sms.tsmu.edu/ssms/cme/img/sarisko.pdf>).

ადამიანის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, უფლებებისა (SRHR) და კეთილდღეობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია ისეთი ფუნდამენტური უფლებების უზრუნველყოფისთვის, როგორიცაა ღირსების, სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სხვა უფლებები. ისინი დაცულია ადამიანის უფლებების საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებებით,

რომლებიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ და, შესაბამისად, მათი აღსრულება ქვეყნისთვის სავალდებულოა. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, უფლებები და კეთილდღეობა ადამიანის უფლებების დაცვის ფარგლებში [2, 4] ასევე აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონდებლობით (http://femicide.ge/res/docs/ombudsman_5063.pdf). რეპროდუქციული და სექსობრივი ჯანმრთელობის უფლებები გააჩნია ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის აიზ ინფექცია/შიდსით დაავადებულებს.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს აიზ ინფექცია/შიდსით დაავადებული ადამიანების რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობის, მათი უფლებების და ამ უფლებების რეალიზების ანალიზი.

კვლევის ამოცანები

- ექსპერტთა მიერ კვლევისთვის შერჩეული აიზ ინფექცია/შიდსით დაავადებული ადამიანების რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა;
- აიზ ინფექცია/შიდსით დაავადებული ადამიანების უფლებების რეალიზების კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა;
- ექსპერტთა თვალით დანახული იმ რეალობის წარმოჩენა, რომელიც დღეისთვის მისაღები და აღეკვატურია ჩვენი ქვეყნისთვის.

გასაღა და გეთოდება.

კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა, ხოლო ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა ექსპერტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუსთვის ჩვენ მიერ შედგენილი კითხვარი. კვლევისთვის შეირჩა ინტერვიუს ჩატარების შემდეგი ლოკაციები: საქართველოს პარლამენტი, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი, შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

ინტერვიუს დასაწყისში თითოეულ ექსპერტს ვაცნობდით მიზეზს, თუ რატომ ვთხოვდით მათ ჩართულობას კვლევაში, ინტერვიუს ჩასაწერად მათთვან ინფორმირებულ თანხმობას ვიღებდით.

ექსპერტებს დაესვათ კითხვები, რომლებიც ეხებოდა:

1. საქართველოში არსებულ რეალობას აიზ ინფექცია/შიდსით დაავადებული ადამიანების რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებით;
2. შერჩეულ ექსპერტთა დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი;
3. იმ სასურველი ადეკვატური რეალობის ანალიზს, რომელიც საჭიროა მიღწეულ იქნას საკითხის ოპტიმიზაციის და პრობლემის გადაჭრის კუთხით საქართველოში.

იმთავითვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩაშლილი თემატური კითხვები იყო სხვადასხვა ექსპერტების საქმიანობის სპეციფიკიდან, საკითხისადმი მათი დამოკიდებულებისა და მიდგომის მიხედვით. თუმცა, გათვალისწინებული იყო საკითხის არსი და არსებულმა ვარიაციებმა კვლევის ერთიანი ხაზის შეცვლა არ გამოიწვია.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ხუთმა ექსპერტმა, მათ შორის იყო სამი მამაკაცი და ორი ქალბატონი. მათი საშუალო ასაკი იყო 48 ± 6.7 წელი. ექსპერტები ჩართულნი იყვნენ როგორც საკანონმდებლო და კანონშემოქმედებით საქმიანობაში, ასევე ზოგიერთი მათგანი ყოველდღიურ შეხებაში იყო უშუალოდ პაციენტებთან, ზოგი მათგანი ითვლება ქცევის ექსპერტებად, რაც აიზ ინფექცია/შიდსით მიმართებაში უმნიშვნელოვანები ფაქტორია და ამ უპანასკნელმა განაპირობა მათი ჩართულობა ჩვენს კვლევაში. კვლევის დაწყების დროს ჩვენთვის საინტერესო კითხვა იყო, რა რეალობაა დღეს საქართველოში აიზ ინფექცია/შიდსით დაავადებული პირების რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებით; ხომ არ არსებობს განსხვავებული მიდგომა/შეხედულება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით; ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესო იყო ექსპერტთა აზრის მოსმენა, რადგან ეს ქმნიდა კარგ სასტარტო პოზიციას ინტერვიუს შემდგომი წარმართვისთვის, აყალიბებდა საქმიან გარემოს და ექსპერტებს განაწყობდა თემაზე საუბროდ.

შედეგები

კითხვაზე: რა რეალობაა დღეს საქართველოში აიზ ინფექცია/შიდსით დაავადებული პირების რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებით; ხომ არ არსებობს განსხვავებული მიდგომა/შეხედულება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით – მათი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით იყო შემდეგი: ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ დღევანდელი რეალობა უკეთესია წარსულთან შედარებით. მეორე ექსპერტიც თვლის, რომ წინა წლებთან შედარებით დღეს საქართველოში ამ კუთხით ბევრად უკეთესი მდგომარეობაა. მესამე ექსპერტის აზრით, სახელმწიფო ეხმარება აიზ დადებით პირს ჯანმრთელობის პრობლემის

მოგვარებაში (უფასო ტესტირება და მკურნალობა), ხოლო რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით ვერ ეხმარება (სპერმის, ვაგინალური სექრეტის ვირუსისგან განულება ფასიანია, ანუ თვითონ დაავადებული უზრუნველყოფს ამას). თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით წინა წლებთან შედარებით ბევრად წინ ვართ და კარგი შედეგებიც გვაქვს. მეოთხე ექსპერტის აზრით, აიზ დადებითი პირები არიან ჩვეულებრივი ადამიანები და მათ არ ეზღუდებათ არაფერი, პირიქით, სახელმწიფო მათ ეხმარება გარკვეული პროგრამებით (მაგალითად, როცა აიზ დადებითი ქალი გააჩქნას ბავშვს, მას სახელმწიფო 6 თვის საკვებს აძლევს, რადგან გარკვეულწილად მაინც არსებობს რისკი ძუძუთი კვების დროს ახალშობილის დაინფიცირებისა). მეხუთე ექსპერტი აღნიშნავს, რომ ამ საკითხის ფართოდ განხილვა, ალბათ, არ ყოფილა სახელმწიფო სტრუქტურის არც ერთ დონეზე, განხილვა ხდება პრაქტიკულად ვიწრო სპეციალისტებთან, ალბათ იმიტომ, რომ არ არის ეპიდემია, ქვეყანაში არსებობს მათზე მორგებული პროგრამა და ის, რომ დედიდან ბავშვზე გადაცემა ნულის ტოლია. თუმცა სუსტი რგოლი მაინც დროული დიაგნოსტიკაა. ამ შემთხვევაში შემდგომი, უკავ ადეკვატური მკურნალობის საშუალებით ქრონიკული ჩაითვლება მართვად დაავადებად.

შემდეგ კითხვაზე – როგორია მათი დამოკიდებულება აიზ ინფექცია/შიდსით დაავადებული პირების მიმართ – ექსპერტთა აბსოლუტური უმრავლესობის დამოკიდებულება არის ერთგვაროვანი დადებითი, პოზიტიური. ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს: „შიდსი – ჩემთვის არ არის ის კრიტიკუმი, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელო საერთოდ ადამიანის უფლების შეზღუდვაზე, მათ შორის რეპროდუქციულის”.

კითხვაზე – რას ისურვებდით აიზ ინფექცია/შიდსით დაავადებული ადამიანების რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებით – ექსპერტთა პასუხი ამ კითხვაზე მეტად საინტერესო და ამავე დროს მრავალფეროვანი აღმოჩნდა.

ერთი ექსპერტის აზრით, იმის მიუხედავად, რომ დღეს ბევრად უპათესი რეალობა გვაქვს წინა წლებთან შედარებით ამ საკითხთან მიმართებაში, ისურვებდა, რომ უფრო მეტად გამოსწორებულიყო არსებული რეალობა, თუმცა არ დაუმალავს, რომ ამას პესიმისტურად უკურებს.

მეორე ექსპერტის სურვილია აიზ დადებით პირს პქნიდეს არჩევანის თავისუფლება სამედიცინო სფეროში, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, ასევე სასურველია ვირუსის ელიმინაცია. მესამე ექსპერტი ისურვებდა ვირუსის ელიმინაციას. მეოთხე ექსპერტის აზრით, სასურველია საზოგადოებაში ინფორმირებულობის დონის გაზრდა, ასევე დედიდან შვილზე ვირუსის გადაცემის საბოლოო ელიმინაცია. მეხუთე ექსპერტი ისურვებდა პრევენციას და ვირუსის ელიმინაციას. ამაში იგი გულისხმობს დეკრიმინაციას, იმას, რომ თუ ნარკომომხმარებლები არ გათავისუფლდნენ

კრიმინალური პასუხისმგებლობისგან, ეს ძალიან გააძნელებდა მათ სააშ-კარაოზე გამოყვანას დიაგნოსტირებისთვის და შემდგომი მკურნალობის-თვის. სრული ელიმინაცია კი შეუძლებელი იქნება ამ ნარკომომარებ-ლების „შუქზე“ გამოყვანის გარეშე. ასევე, უმნიშვნელოვანესია მთელი საზოგადოების მოცვაც.

გამოკითხვის დასრულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ პირველად დასმული შეკითხვა ძალიან მნიშვნელოვანი იყო და პრობლემა ნამდვილად აქტუალურია.

შედეგების განხილვა

გამოკითხულ ექსპერტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ აივ ინფექცია/ შიდსით დაავადებულ ადამიანებს აქვთ რეპროდუქციული ჯანმრთელობის ისეთივე უფლება, როგორც ამ დაავადებისგან თავისუფალ ადამიანებს.

არსებულ რეალობაზე განსხვავებული პოზიცია დააფიქსირეს კვლევის-თვის შერჩევულმა ექსპერტებმა. მათი მცირე ნაწილი თვლის, რომ რეალობა უკეთესია, თუმცა იდეალურისგან შორსად. ნაწილი კი თვლის, რომ ამ კუთხით საკითხი ფართოდ ალბათ არ განხილულა და არც დამდგარა პოლიტიკის შემქნელ და საერთოდ, სამედიცინო საზოგადოების წინაშე.

ექსპერტთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის და ერთსულოვნად აღიარებს იმ მოსაზრებას, რომ საჭიროა ამ კუთხით ქმედითი ღონისძიებების გატარება და როგორც მოსახლეობის, ასევე, განსაკუთრებით, სამიზნე ჯგუფების ინფორმირებულობის დონის გაზრდა.

ლიტერატურა

1. Provisional agenda item 12. Triple elimination of mother-to-child transmission of HIV, hepatitis B and syphilis. In: Sixty-eighth session of the WHO Regional Committee for the Western Pacific, Brisbane, Australia 9-13 October 2017. Manila: WHO Regional Office for the Western Pacific; 2017 (http://www.wpro.who.int/about/regional_committee/68/documents/wpr_rc68_7_hiv_hepa_syphilis.pdf, accessed 20 December 2017).
2. Regional framework for the triple elimination of mother-to-child transmission of HIV, hepatitis B and syphilis in Asia and the Pacific 2018-2030 [DRAFT]. Manila: WHO Regional Office for the Western Pacific; 2017 (http://www.wpro.who.int/about/regional_committee/68/documents/wpr_rc68_7_annex_hiv_hepa_syphilis.pdf#ua=1, accessed 9 September 2017).
3. Global health sector strategy on HIV, 2016-2021. Geneva: World Health Organization; 2016 (<http://apps.who.int/iris/bitstream/10665/246178/1/WHO-HIV-2016.05-eng.pdf>, accessed 9 September 2017).

4. Global health sector strategy on viral hepatitis, 2016-2021. Geneva: World Health Organization; 2016 (<http://apps.who.int/iris/bitstream/10665/246177/1/WHO-HIV-2016.06-eng.pdf#ua=1>, accessed 9 September 2017).
5. Global health sector strategy on sexually transmitted infections, 2016-2021. Geneva: World Health Organization; 2016 (<http://apps.who.int/iris/bitstream/10665/246296/1/WHO-RHR-16.09-eng.pdf>, accessed 9 September 2017).

РЕПРОДУКТИВНОЕ ЗДОРОВЬЕ И ПРАВА ПАЦИЕНТОВ С ВИЧ/СПИДОМ В ГРУЗИИ

***Екатерине Мирвелашивили, Тамар Хажомия, Екатерине Кикачеишвили,
Кетеван Аракхамия***

Департамент общественного здравоохранения, менеджмента, экономики и политики
Тбилисского государственного медицинского университета

РЕЗЮМЕ

Целью исследования было проанализировать состояние репродуктивного здоровья людей, живущих с ВИЧ/СПИД-ом, их права и реализацию этих прав. Исследования показали, что в сегодняшней Грузии реальность лучше, чем раньше, хотя и не идеальная, низкий уровень осведомленности, неадекватные эффективные меры, а некоторые люди, все еще зараженные ВИЧ/СПИДом, по-прежнему имеют ограниченный выбор, особенно в области медицины.

HIV/AIDS PATIENTS REPRODUCTIVE HEALTH AND RIGHTS IN GEORGIA

***Ekaterine Mirvelashvili, Tamar Khazhomia, Ekaterine Kikacheishvili,
Ketevan Arakhamia***

Tbilisi State Medical University; Department of Health, Management, Economics and Policy

SUMMARY

In-depth interview was used in this study as a tool. The purpose of the study was to analyze the reproductive health status of people living with HIV/AIDS, their rights and the realization of these rights. The research has shown that today in Georgia there is a better reality than before, though not ideal, low levels of awareness, inadequate effective measures, and some people still infected with HIV/AIDS still have limited choices, more so in the medical field.

პოლიმერის გამოყენებისადმი დამოკიდებულებისა და მათი გამოყენების სისუნის შესწავლა სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების უნივერსიტეტის სამედიცინო

უნივერსიტეტის სტუდენტები

**ეპატერინე მირგელაშვილი, თამარ ხაჯომია,
 ეპატერინე კიკაჩიშვილი, ქეთეგან არახამია**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი
 ჯანდაცვის, მენეჯმენტის, ეკონომიკისა და პოლიტიკის დეპარტამენტი

კვლევის მიზანია კონდომების გამოყენებისადმი დამოკიდებულებისა და მათი გამოყენების სისუნის შესწავლა სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებში. კვლევა რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით ჩატარდა. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ სქესობრივად აქტიურ სტუდენტებს შორის, რომელთა უმრავლესობა ვაჟია (29-დან 28 სტუდენტი), კონდომების გამოყენების სისუნიერ საკმაოდ მაღალია, ასევე მაღალია იმ სტუდენტთა ხვედრითი წილი, ვინც ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ კონდომი სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და დაუგეგმავი ორსულობის თავიდან აცილების საშუალებას წარმოადგენს. სქესობრივად აქტიურ რესპონდენტ ვაჟთა სისუნიერ ძევრად ადგემატება სქესობრივად აქტიურ რესპონდენტ გოგონათა სისუნიერს. სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შესახებ ინფორმირებულ და მცოდნე მოხარდოა სისუნიერ საკმაოდ დაბალია, გამონაკლის წარმოადგენს აივ/შიდსი და პეპატიტები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია რესპონდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას ჰქონდა.

საკვანძო სიტყვები: სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, კონდომების გამოყენება, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები, დაუგეგმავი ორსულობა

სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა წარმოადგენს სრულ ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ სიჯანსადეს რეპროდუქციულ სისტემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა გვაძლევს საშუალებას პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ სექსუალურ ცხოვრებას [2], სწორად წარვმართოთ ოჯახური ურთიერთობები, შევძლოთ ჯანმრთელი შვილების გაჩენა სასურველ დროს, შეგნებულად განვსაზღვროთ ბავშვთა რაოდენობა და მშობიარობებს შორის ინტერვალი, თავიდან ავიცილოთ არასასურველი ორსულობა და აბორტი, შევინარჩუნოთ ჩვენი და ჩვენი ოჯახის ჯანმრთელობა, წარმატებით გან-

ვახორციელოთ ჩვენი ცხოვრებისეული გეგმები. სქესობრივი და რეპრო-დუქციული ჯანმრთელობის კუთხით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ოჯახის დაგეგმვას/კონტრაცეფციას, განსაკუთრებით კი კონდომების დისტრიბუციას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებულია, რომ კონდომების დისტრიბუციასთან დაკავშირებული პროგრამები მნიშვნელოვნად ზრდის კონდომების გამოყენების სისშირეს და, შესაბამისად, ახდენს IV/ს.გ.გ.ი.-ს პრევენციას. კონდომების დისტრიბუცია ასევე ზრდის მზაობას მიმღებლობასა და ხელმისაწვდომობას კონდომების გამოყენების მიმართ, ასევე, მნიშვნელოვანი თანხები იზოგება ჯანდაცვის სისტემაში [1, 2, 3].

კვლევის მიზანი

ჩვენ მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებში კონდომების გამოყენებისადმი დამოკიდებულებისა და მათი გამოყენების სისშირის შესწავლა.

კვლევის ამოცანები

- სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებში კონდომების გამოყენების საჭიროებისადმი დამოკიდებულების შესწავლა,
- სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებში კონდომების გამოყენების სისშირის შესწავლა.

შედეგები

ჩვენ მიერ ჩატარებულ რაოდენობრივ კვლევაში გამოკითხულ იქნა თბილის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 50 სტუდენტი. გამოკითხული 50 სტუდენტიდან 29 იყო ვაჟი, 21 კი – გოგონა. ამასთან, გამოკითხული იყო 18-20 წლის ასაკის 18 სტუდენტი, 20-22 წლის ასაკის – 26 სტუდენტი, 22-24 წლის ასაკის – 12 სტუდენტი, 24-26 წლის ასაკის – 4 სტუდენტი. გამოკითხულთა საშუალო ასაკი შეადგენდა $23 \pm 2,68$ წელს. გამოკითხული სტუდენტები ფაკულტეტების მიხედვით ასე გადანაწილდნენ: მედიცინის ფაკულტეტის 21 სტუდენტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის 12 სტუდენტი და ფარმაციის ფაკულტეტის 19 სტუდენტი.

კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ 50 სტუდენტთაგან აქტიური სქესობრივი ცხოვრება 29 სტუდენტს აქვს, რომელთგან 28 მამრობითი, 1 კი – მდედრობითი სქესის იყო. კონდომების შესახებ ინფორმაცია ყველა სტუდენტს აღმოაჩნდა. გამოკითხული სტუდენტების დამოკიდებულება კონდომების გამოყენებისადმი დადებითია, აქტიური სქესობრივი ცხოვრების მქონე სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ თითქმის ყოველთვის იყენებენ კონდომს.

აქტიური სქესობრივი ცხოვრების მქონე 29 სტუდენტთაგან 26-მა ბოლო სქესობრივი აქტის დროს გამოიყენა კონდომი, 3 სტუდენტს კი არ გამოუყენებია და ამის მიზეზად დაუგეგმავ, სპონტანურ სქესობრივ კონტაქტს ასახელებს. შეკითხვაზე, თუ რატომ არის კონდომების გამოყენება რეკომენდებული, გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა კონდომების ორმაგი დამცველის ფუნქციას ასახელებს, რაც გულისხმობს სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა და დაუგეგმავი ორსულობის თავიდან აცილებას. რესპონდენტთა უმეტესმა ნაწილმა შეკითხვაზე, თუ რამდენად აქტიური სქესობრივი ცხოვრება აქვთ, აღნიშნა, რომ სქესობრივი ურთიერთობა თვეში 2-3 ჯერ აქვს, თუმცა გამოკითხულთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც გვითხრებს, რომ სექსი მათი ყოველდღიურობის განცყოფელი ნაწილია. სქესობრივი პარტნიორების რაოდენობასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე აქტიური სქესობრივი ცხოვრების მქონე 29 სტუდენტთაგან 17-მა გვიპასუხა, რომ მას ბოლო 6 თვის განმავლობაში ჰყავდა 1 პარტნიორი, 7 სტუდენტს ჰყავდა 2 პარტნიორი, 3-ს – 4 პარტნიორი, ერთ სტუდენტს – 6 პარტნიორი, 1-ს – 12 სქესობრივი პარტნიორი. შეკითხვაზე – აქვთ თუ არა ინფორმაცია სქესობრივი გზით გადამდები დაგვადებების შესახებ, ყველა სტუდენტმა დადებითი პასუხი გაგვცა, ხოლო შეკითხვაზე – თუ რომელი სქესობრივი გზით გადამდები დაავადების შესახებ ჰქონდათ ინფორმაცია, სტუდენტების მეტა ნაწილმა (98%) აღნიშნა ისეთი ინფექციები, როგორიც არის აივ/შიდსი, სოკოვანი დაგადება, სიფილისი, გონიორება.

შეღებების განხილვა

სქესობრივი აქტიურობა საქართველოსთვის დამახასიათებელი კულტურულ-ტრადიციული თავისებურებებიდან გამომდინარე, სქესობრივ აქტიურობასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი რესპონდენტთა გულწრფელობა. გამოკითხვაშ აჩვენა, რომ რესპონდენტთა შორის, რომლებიც აქტიური სქესობრივი ცხოვრებით ცხოვრობენ, აბსოლუტური უმრავლესობა (29-დან 28) მამრობითი სქესის იყო. ჩვენი აზრით, აღნიშნული მაჩვენებელი გამოკითხვისადმი რესპონდენტთა გულგრილი დამოკიდებულების შედეგი უფრო იყო, ვიდრე რეალური მონაცემი. გამოკითხვის შედეგები, ერთი მხრივ, განპირობებული იყო იმით, რომ ქართველი გოგონებისთვის სქესობრივი აქტიურობა ტაბუ დადებული თქმა. ისინი ქორწინებამდე სქესობრივი თავშეკავების აუცილებლობის მომხრენი არიან და აქედან გამომდინარე, გოგონების უმეტესობა არაგულწრფელი იყო გამოკითხვის დროს, მეორე მხრივ, იმით რომ სექსის სიხშირესთან დაკავშირებულ შეკითხვაზე მამრობითი სქესის მქონე რესპონდენტები ჰიპერშეფასებით გამოირჩეოდნენ – ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში 12 სქესობრივი პარტნიორი ჰყავდა. გამოკითხულთა შორის სექსის საშუალო სიხშირე კვირაში 2-3 აღმოჩნდა. ფაქტია, რომ ვაჟები სქესობრივ აქტიურობასა და პარტნიორთა დიდ რაოდენობას თვითდამკვიდრების ფაქტორად განიხილავენ, მიიჩნევენ,

რომ ეს ფაქტორები მათ პრესტიჟზე მეტყველებს. რესპონდენტთა მხრიდან, რომლებმაც გამოკითხვის თემატიკის შესახებ შეიტყვეს, აშკარად იგრძნობოდა გარკვეული სკეპტიციზმი აღნიშნული საკითხების მიმართ. კვლევის ჩატარების დროს მიღებულ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით, რთულია ვისაუბროთ კვლევის შედეგების ვალიდურობაზე, რაც მოსალოდნელი იყო. კონდომი – ინფორმირებულობა, ცოდნა, შეხედულებები ყველა სტუდენტს აღმოაჩნდა ინფორმაცია კონდომებთან დაკავშირებით, რაც სასისარულოა, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შეკითხვები – „გაქვთ თუ არა ინფორმაცია კონდომებთან დაკავშირებით?“, „იყენებთ თუ არა კონდომს?“ – მდედრობითი სქესის რესპონდენტური უმრავლესობისთვის უხერხელობის საგანი აღმოჩნდა. გამოკითხულთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მსგავსი შეკითხვა არაეთიკური და შეურაცხე-მყოფელიც არათუ იყო მათვის. მდედრობითი სქესის სტუდენტებმა მათი ნეგატიური განწყობის უმთავრეს, საყრდენ არგუმენტად დაასახელეს ფაქტი, რომ ისინი არ არიან დაოჯახებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი არ ცხოვრობენ აქტიური სქესობრივი ცხოვრებით.

დადებით მოვლენად უნდა იქნას განხილული ფაქტი, რომ სქესობრივად აქტიური მამრობითი სქესის აბსოლუტურ უმრავლესობას არათუ აქვთ ინფორმაცია კონდომების შესახებ, არამედ ისინი ერთხმად აღნიშნავენ კონდომების გამოყენების აუცილებლობას. ამის მიზეზად კი სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა და დაუგეგმავი ორსულობის თავიდან აცილებას ასახელებენ. აქტიური სქესობრივი ცხოვრების მქონე რესპონდენტთა 97%-მა (29-დან 28-მა) ბოლო სქესობრივი ურთიერთობის დროს გამოიყენა კონდომი. სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები – ინფორმირებულობა, ცოდნა, შეხედულებები. ჩვენ მიერ ჩატარებულმა რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების ცოდნის დონე ს.გ.გ.ი-ს შესახებ, საუბედუროდ, ძალიან დაბალია. მართალია, სტუდენტების მეტი წილი (დაახლოებით 98%) ფლობს ინფორმაციას სქესობრივი გზით გადამდები ისეთი ინფექციების შესახებ, როგორიც არის აიზ/შიდსი, პეპატიტები, სოკოვანი დააგადება, სიფილისი, თუმცა მხოლოდ რამდენიმე მათგანს შეუძლია აღნიშნული დაავადებების ძირებულად დახასიათება. სტუდენტებისთვის ნაკლებად ცნობილია სქესობრივი გზით გადამდები ისეთი ინფექციების შესახებ, როგორიც არის გონორეა, კონდილომები, ტრიქომონიაზი, ქლამიდიოზი, სასქესო ორგანოების პერპესი და ა.შ.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ასეთი თემატიკის კვლევები საჭიროებს ძალიან ფრთხილ მიღებომას, საჭიროა გამოკითხვის დახვეწილი მეთოდოლოგიის გამოყენება რესპონდენტთა მხრიდან მაქსიმალური გულწრფელობის მისაღწევად. სქესობრივი ცხოვრება საქართველოში არის ტაბუირებული თემა ასალგაზრდა პოპულაციაშიც და მისი მოწესრიგება სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენციის და კონდომების გამოყენების ჩათვლით უმნიშვნელოვანესია როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა

სინჯში. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეს საკითხი აქტუალური და პრობლემურია ახალგაზრდა პოპულაციაშიც.

ლიტერატურა

1. Demographic and Health Surveys (DHS) for 49 developing countries. 2002.
2. International Institute for Population Sciences (IIPS) and Macro International. National Family Health Survey (NFHS-3), 2005-06, India, vol. I. Mumbai: IIPS, 2007.
3. Measure DHS Survey Indicators. <http://www.measuredhs.com/data/Survey-Indicators.cfm> (18 July 2012, date last accessed).
4. Trends in Contraception Worldwide, 2015, UNDESA.

ИЗУЧЕНИЕ ОТНОШЕНИЯ К ИСПОЛЬЗОВАНИЮ КОНДОМОВ И ЧАСТОТЫ ПОЛЬЗОВАНИЯ ИМИ СРЕДИ СТУДЕНТОВ МЕДИЦИНСКОГО УНИВЕРСИТЕТА

***Екатерине Мирвелаишвили, Тамар Хажомия, Екатерине Кикачеишвили,
Кетеван Арахамия***

Департамент общественного здравоохранения, менеджмента, экономики и политики
Тбилисского государственного медицинского университета

РЕЗЮМЕ

Цель исследования: изучение отношения к использованию кондомов и частоты пользования ими среди студентов медицинского университета. Было проведено исследование с использованием количественного метода. Проведенное нами исследование показало, что частота использования кондомов среди активных в половом отношении студентов, среди которых большинство парней (29 из 28), достаточно высокая. Также высока удельная доля тех студентов, которые владеют информацией о том, что кондом является средством превенции болезней, передаваемых половым путем и незапланированной беременности. Количество в половом отношении активных парней-респондентов значительно превышает количество в половом отношении активных девушек. Количество подростков, информированных и знающих о болезнях, передаваемых половым путем, достаточно низкое. Исключениями являются АИВ СПИД и гепатиты, о которых у абсолютного большинства респондентов имелась информация.

CONDOM USE AND FREQUENCY IN MEDICAL STUDENTS

***Ekaterine Mirvelashvili, Tamar Khajomia, Ekaterine Kikacheishvili,
Ketevan Arakhamia***

Department of Health, Management, Economics and Policy, Tbilisi State Medical University

SUMMARY

The study of condom use and frequency in medical students was conducted using a quantitative research method. Our study has shown that among the sexually active students, most of whom are male (28 out of 29 students), the incidence of condom use is quite high, as well as a high proportion of students who have information that they have sexually transmitted diseases and unplanned pregnancy prevention sources to represent.

The incidence of sexually active respondent boys is much higher than those of sexually active respondent girls. The incidence of awareness of adults about sexually transmitted infections is quite low, with the exception of HIV/AIDS and hepatitis, which has been reported by the overwhelming majority of the respondents.

ღვიძლის ფუნქციური ანატომია და გისი დაზიანებით გამოწვეული ჰოგიერთი პათოლოგია

ნინო თორმელიძე, ილონა ხავერდელიძე

თბილისის ჰუმანიტარული სახელმწიფო უნივერსიტეტი

სრულიად სამართლიანად დგინდს ორგანიზმის „შინაგანი გარემოს“ მცველს უწოდებენ. ამიტომ დგინდლის დაავადებებს ორგანიზმის პომეოსტაზური პარამეტრების რღვევის შორს მიმავალი შედევები აქვს, რომელიც კარგად აიხსნება ნორმალური ანატომიისა და ფიზიოლოგიის პერსპექტივიდან.

დგინდლი სისხლის ქიმიურ შედგენილობას მრავალი მექანიზმით არეგულირებს. დიდადი ფერმენტული შემცველობისა და მისი უნიკალური სტრუქტურის გამო, ასევე იმიტომ, რომ ის გენურ სისხლს ნაწლავებიდან იღებს, დგინდლს გააჩნია არა ნაკლებად მნიშვნელოვანი ფუნქციები, ვიდრე სხვა რომელიმე ორგანოს.

სტატიაში განხილულია დგინდლის მიკროსკოპული ანატომია და ის მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პროცესები, რაც დგინდლთან არის დაკავშირებული: სისხლის დეტოქსიკაცია, ნახშირწყლებისა და ცხიმების მეტაბოლიზმი, ცილების სინთეზი, ნაღვლის სეკრეცია. დგინდლის ნორმალურ ფიზიოლოგიასა და ანატომიასთან კავშირში განხილულია ზოგიერთი პათოლოგიური პროცესი, რომელიც სტუდენტს დაეხმარება ნორმისა და პათოლოგიის შეფასებაში. ნაშრომი ასევე ეხება დგინდლის უნიკალურ რეგენერაციულ უნარს, რომელიც რეგენერაციული მედიცინის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: დგინდლის კარის სისტემა, დგინდლისმიერი კლირენსი, სისხლის ენტეროპეპატური ცირკულაცია, ცილების სინთეზი დგინდლში

ნორმალური ზრდასრული ადამიანის დგინდლი იწონის 1400-1600 გ-ს და პალპაციით არ ისინჯება, თუკი ის არ გადიდება და არ აღმოჩნდება ნეკნია რკალს გარეთ. მაგრამ, ამავე დროს, დგინდლს განიხილავენ, როგორც 1-2 უჯრედის სისქის მქონე ფირფიტებს, რომლებიც ერთმანეთისგან სინუსოიდებით არის გამოყოფილი.

მორფო-ფუნქციური თვალსაზრისით, დგინდლი იყოფა 1-2 მმ დიამეტრის ზომის ჰექსაგონალურ წილაკებად, ე.წ. აცინუსებად, რომლებიც ცენტრალური ვენის ირგვლივ არიან ორიენტირებულნი (ცენტრალური ვენა დგინდლის ვენის შენაკადია). დგინდლის წილაკები წარმოდგენილია დგინდლის

პარენქიმული ფირფიტებით, რომელთა შორის სისხლი პორტული ტრიადიდან ცენტრალური ვენისკენ მიედინება. სისხლის 20%-25% დვიძლს მიეწოდება დვიძლის არტერიით, ხოლო დანარჩენი – კარის ვენით.

თითოეული წილაკის შუაში გადის ცენტრალური ვენა, ხოლო პერიფერიაზე გაივლის დვიძლის კარის სისტემის ვენისა და დვიძლის არტერიის განშტოებანი, რომელიც დვიძლის ფირფიტებს შორის ისსხება დვიძლის სინუსოდებში. ამრიგად, სისხლი, რომელიც მიიტანება დვიძლში კარის ვენის საშუალებით და დვიძლის არტერიით, სინუსოდებში ერთმანეთს ერევა. დვიძლის სხვადასხვა წილაკების ცენტრალური ვენები კონვერგირებს და წარმოქმნის დვიძლის ვენებს, რომელთაც სისხლი დვიძლიდან გამოაქვს და უკავშირდება ქვემო დრუ ვენას.


არსებობს მონაცემები, რომ ცენტრალური ვენიდან დაშორებით განლაგებული დვიძლის ეს უჯრედები საკმაოდ ვერ მარაგდებიან სისხლით და ისინი განიხილებიან, როგორც მეტაბოლური წილაკის, ანუ “აცინუსის” პერიფერია. აცინუსის პარენქიმა იყოფა სამ ზონად: I ზონა მოთავსებულია პორტული სისტემის სისხლით მომარაგების ახლოს, III ზონა – ცენტრალური ვენის ახლოს და II ზონა – მათ შორის. ეს სხინის იმ ფაქტს, რომ დვიძლის ტოქსიკური დაზიანების მრავალი ფორმა უფრო მკვეთრად გამოიხატება კლასიკური წილაკის პერიფერიაზე, ვინაიდან I ზონა უშუალოდ მიმღებლობს სისხლისმიერ მოტანილ ტოქსინებს. ანალოგიურად, პიპოქსიური დაზიანება, რომელიც ვლინდება შოკური მდგომარეობის ან გულის უკმარისობისას, რომელიც ასევე განიხილება, როგორც ცენტრალური ნეკროზი, ფაქტიურად, აცინუსის პერიფერიაზეა III ზონაში – არტერიული და პორტული ვენის სისხლმომარაგებიდან დაშორებით. მიუხედავად მრავალგვარი განსხვავებული შეხედულებებისა აცინუსების შესახებ, კლასიკური წილაკი მაინც განიხილება დვიძლის ძირითად სტანდარტულ ერთეულად.

ჰეპატოციტები ზომით მკვეთრად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ განსხვავდება ბირთვის ზომით, რაოდენობით, პლოიდურობით. ზოგი ბირთვი სხვებთან შედარებით დიდია და მათი კარიოტიზი აღწევს ოქტაპლოიდურობამდე. ოუმცა უჯრედთა უნინუკლეარულობა სახეზეა, გარკვეული ფრაქციები ორბირთვიანია. უჯრედთა ციტოპლაზმა რაოდენობრივად ვარიაბელურია, რაც უჯრედთა აქტიობის ხარისხთან არის შესაბამისობაში. არაჰეპატური, ანუ სხვა მიზეზით გარდაცვლილი ნორმალური ინდივიდების PAS stain-ით შეღებილ პრეპარატებში გლიკოგენის დიდი რაოდენობა იქნადაფიქსირებული გლუკო ენდოპლაზმური ბადის სიახლოვეს აგრეგატების ან როზეტების სახით. შეინიშნებოდა ასევე ლიპიდების ცალკეული ვაკუოლები გაფანტული სახით [1].

დვიძლის სინუსოდები ამოფენილია ენდოთელური უჯრედებით, რომელთა შორის დარჩენილია 150-175 ნმ-ის დიამეტრის ფორმები, ე.წ. ფენესტრები,

რაც სხვა კაპილარებთან შედარებით სინუსოიდებს უფრო მეტად განვლადს ხდის (სურ. 1).

თირკმლისა და პანკრეასის ფენებზრის ული კაპილარებისგან განსხვავებით, დვიძლის სინუსოიდები მოკლებულია დიაფრაგმასა და ბაზალურ მემბრანას, ასე რომ პლაზმის პროტეინებიც კი ცილასთან შეკავშირებული ქოლესტერინისა და ცხიმის მოლეკულებთან ერთად აღნიშნულ ფენებზებში გადის. მაშასადამე, სინუსოიდები სისხლისა და ჰეპატოციტების ურთიერთკონტაქტის საშუალებას იძლევა. აქევე აუკთვერის უჯრედები, რომელებიც წარმოადგენს მონონუკლეარულ-ფაგოციტური სისტემის ნაწილს.



სურ. 1. დვიძლის მიეროსკოპული სტრუქტურა. სისხლი დვიძლის წილაკში პორტული ტრიადის გზით მიედინება, გაივლის დვიძლის სინუსოიდებში და მიემართება ცენტრალური ვენისკენ. ცენტრალური ვენები ერთდევბიან და წარმოქმნიან დვიძლის ვენას, რომელსაც სისხლი დვიძლიდან გამოაქვს

საჭმლის მომნელებელ ტრაქტში აბსორბირებული საყუათო ნივთიერებები პირდაპირ არ ხვდება სისტემურ ცირკულაციაში, არამედ დვიძლის კარის სისტემის გზით სისხლი ჯერ გაივლის დვიძლში. საჭმლის მომნელებელი სისტემის კაპილარები დვიძლის კარის ვენაში იკრიბება და შემდეგ ისევ დვიძლის კაპილარულ ქსელში იშლება, სადაც სისხლი იწმინდება მთელი რიგი ტოქსიკური შენაერთებისგან. შხელოდ ამის შემდეგ სისხლი მიემართება დვიძლის ვენისკენ. ტერმინი „პორტული სისტემა“ გულისხმობს სისხლის ცირკულაციის იმ უნიკალურ ნიმუშს, რაც დვიძლში ხორციელდება: კაპილარები → ვენა → კაპილარები → ვენა.


გარდა ვენური სისხლისა, რომელსაც ნაწლავებიდან იღებს, დვიძლი იღებს ასევე არტერიულ სისხლს დვიძლის არტერიის გზით. დვიძლის კარის ვენა აგროვებს სისხლს ნაწლავების, პანკრეასის, ნაღლის ბუშტის, ცხიმოვანი ფარდის და ელენთის კაპილარებიდან, რაც საშუალოდ შეადგენს დვიძლის სისხლის ტევადობის 75-80%-ს. ვინაიდან სისხლი დვიძლში ნაწლავებიდან მოედინება, პორტული ვენა დვიძლს აწვდის საყუათო და სხვა აბსორბირებულ მოლეკულებს. სისხლის დანარჩენი 20-25% დვიძლს მიეწოდება დვიძლის არტერიის გზით. შედეგად, დვიძლის სისხლის ნაკადი საშუალოდ შეადგენს გულის წუთმოცულობის 25%-ს. დვიძლის სისხლის ცირკულაციის ეს მუდმივობა აუცილებელია, რათა შენარჩუნებულ იქნას დვიძლის გამწმენდი ფუნქცია, ე.წ. დვიძლისმიერი კლირენსი, რაც გამოიხატება ტოქსიკური ნივთიერებებისგან სისხლის გასუფთავებაში.

ნაღველი, რომელიც წარმოიქმნება დვიძლის ჰეპატოციტებში, გამოიყოფა უწვრილეს მილაკებში, ე.წ. კანალიკულებში. ეს უკანასკნელი მოთავსებულია თითოეულ ფირფიტაში, ხოლო მათი დრენირება ხდება პერიფერიაზე არსებულ სანაღვლე მილში, რომელიც საბოლოოდ იკრიბება დვიძლის სადინარში და გამოაქვს ნაღველი დვიძლიდან. რადგან სისხლის და ნაღვლის დინება ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მიმდინარეობს, არ ხდება მათი შერევა დვიძლის წილაკებში (სურ. 2). დღეში დვიძლი წარმოქმნის და გამოყოფს 250-1500 მლ ნაღველს. ნაღვლის ძირითადი შემადგენლებია: ნაღვლის პიგმენტი – ბილირუბინი, ნაღვლის მარილები, ფოსფოლიპიდები (ძირითადად, ლეციტინი), ქოლესტერინი და არაორგანული იონები. ბილირუბინი პერმოგლობინის დაშლის შედეგად წარმოქმნება ელენთაში, დვიძლსა და ძვლის წითელ ტვინში.

ნაღვლის მეაგები ქოლესტერინის დერივატებია. ძირითადი ნაღვლის მეაგები ადამიანის ორგანიზმში არის ქოლის მეაგა და ქენოდეოქსიქოლის მეავა, რომლებიც უკავშირდება ამინომეავა გლიცინს ან ტაურინს და წარმოქმნის ნაღვლის მარილებს. ნაღვლის მარილები ხელს უწყობს ცხიმების ემულსიფიცირებას ქიმუსში [3].

დვიძლის დეტოქსიკაციური უნარი შემდეგი მექანიზმებით ვლინდება: 1. პორმონები და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები გამოიდევნება

ნადველთან ერთად; 2. ახორციელებს ტოქსინების გაუვნებელყოფას სინუსოიდებში განლაგებული კუპფერის უჯრედების მიერ, რომელიც ახდენს მათ ფაგოციტირებას; 3. ახორციელებს გარკვეული ტოქსიკური ნაერთების გარდაქმნას თავად ჰეპატოციტების შიგნით.



სურ. 2. სისხლისა და ნადვლის დინება ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით. სისხლი სინუსოიდებიდან ცენტრალური გენისკენ მიემართება, ნადველი პერიფერიისკენ მიემართება დვიძლის ფირფიტებს შორის წილაკის ცენტრიდან ნადვლის მილაკებში

მაგალითად, ამონიუმი, რომელიც წარმოიქმნება დვიძლში ამინომჟავების დეამინირების პროცესში და ნაწლავებში ბაქტერიების ზემოქმედების შედეგად, ძალიან ტოქსიკური ნაერთია. ვინაიდან პორტულ ვენაში ამონიუმის კონცენტრაცია 4-50-ჯერ მეტია, ვიდრე დვიძლის ვენაში, აშკარაა, რომ იგი გამოიტანება სისხლიდან დვიძლის მიერ. დვიძლში არსებული ფერმენტი ამონიუმს გარდაქმნის ნაკლებ ტოქსიკურ შენაერთად – შარდოვანად, რომელიც დვიძლიდან სისხლში გადადის და შარდში გამოიყოფა თირკმლის მიერ. ანალოგიურად, დვიძლი ტოქსიკურ პორფირინებს გარდაქმნის ბილირუბინად და ტოქსიკურ ჰურინებს კი – შარდის მჟავად.

დვიძლში სინთეზირდება ფერმენტები – სტეროიდული ჰორმონების მეტაბოლიზმის და ასევე სხვა ტოქსიკური ნივთიერებების, მაგალითად, ბენზპირენის (კანცეროგენი, რომელსაც შეიცავს თამბაქოს კვამლი და შებოლილი ხორცი), დეტოქსიკაციისთვის. ციტოქრომ 450 ჯგუფის ენზიმები, რომლებიც სხვადასხვა სპეციფიკურ პროცესებში მონაწილეობს, ანეიტრალურებს ათასობით ტოქსიკურ შენაერთს. ეს ენზიმები შეიცავს ჰემის ჯგუფს, რომელიც ჰემოგლობინის ჰემის ჯგუფის ანალოგიურია. ქიმიურად ჰემი კლასიფიცირდება, როგორც პორფირინი და მისი ჭარბი რაოდენობა დამაზიანებელია როგორც დვიძლისთვის, ასევე ძვლის ტვინისთვის. ამ მდგომარეობას უწოდებენ პორფირიას. პორფირია ვითარდება გენეტიკური მუტაციების შედეგად, რის გამოც ადარ ხდება იმ ფერმენტის წარმოქმნა, რომელიც განაპირობებს ჰემის ჯგუფის წარმოქმნას. ამის გამო, პორ-

ფირინის პერიოდურსორები გროვდება სისხლში, რამაც შეიძლება ძლიერი ტკივილი გამოიწვიოს, ისევე როგორც ნევროლოგიური და ფსიქოლოგიური ხასიათის დარღვევები [5].

პიპერბილირუბინემიის (სიყვითლე, ბოტკინის დავადება) მექანიზმის გასარკვევად განვიხილოთ ნაღვლის წარმოქმნის ეტაპები: 1. ბილირუბინის წარმოქმნა; 2. მისი გადატანა სისხლში; 3. ღვიძლის უჯრედების მიერ ბილირუბინის უპუშევროვა; 4. გლუკურონიზება; 5. სეპრეცია (ექსკრეცია).

სისხლის აქტიური რეაქციის პირობებში თავისუფალი ბილირუბინი წყალში უხსნადია და ამიტომ უმეტესად ალბუმინებთან შეკავშირებული გადაიტანება სისხლში. ცილასთან შეკავშირებული ბილირუბინი ვერ იფილტრება თირკმლის ფიალებში და ორც პირდაპირ გამოიყოფა ნაღვლის სახით ღვიძლში. თავისუფალი ბილირუბინის ნაწილი უკან შეითვისება ღვიძლის მიერ სისხლიდან და უკავშირდება გლუკურონის მეავას. წარმოქმნება ე.წ. კონიუგირებული ბილირუბინი. კონიუგირებული ბილირუბინი წყალში ხსნადია და შესაძლოა მისი გამოყოფა ნაღველთან ერთად. ნაღველში გადმოსვლის შემდეგ, კონიუგირებული ბილირუბინი ხვდება ნაწლავებში, სადაც იგი ბაქტერიების ზემოქმედებით გარდაიქმნება სხვა პიგმენტად – ურობილინოგენად. ურობილინოგენის დერივატები ნაწლავის ფეგალიებში ყავისფერია. ურობილინოგენის 30-50% კვლავ აძსორბირდება ნაწლავებში და ხვდება ღვიძლის კარის სისტემის ვენაში. ურობილინოგენის ნაწილი კი, რომელიც შედის ღვიძლის სინუსოიდებში, გამოიყოფა ნაღველთან ერთად და, ამდენად, ერთვება ენტეროპეპტატურ ცირკულაციაში, ხოლო დარჩენილი ნაწილი გადადის სისტემურ ცირკულაციაში.

ქსოვილების სიყვითლე ვითარდება მაშინ, როცა სისხლში აღმოჩნდება თავისუფალი ან კონიუგირებული ბილირუბინის მაღალი კონცენტრაციები. სიყვითლე, რომელიც ზრდასრულების სისხლში გამოწვეულია კონიუგირებული ბილირუბინის მაღალი კონცენტრაციით, შესაძლოა უკავშირდებოდეს ნაღვლის გამოყოფის შეზღუდვას გალსტონების (ნაღვლის ქვების) არსებობის გამო. ვინაიდან თავისუფალი ბილირუბინი წარმოიქმნება ჰემის ჯგუფიდან, სიყვითლე, რომელიც ვითარდება სისხლში თავისუფალი ბილირუბინის კონცენტრაციის მომატებისას, ჩვეულებრივ უკავშირდება სისხლის წითელი უჯრედების ინტენსიური დაშლის პროცესს და ჰემოგლობინის კონცენტრაციის სწრაფ დაქვეითებას. ეს არის ახალშობილების ჰემოლიზური დაავადების მიზეზი (erythroblastosis fetalis). დღენაკლულ, უმწიფარ ბავშვებში იგივე შესაძლოა განვითარდეს ღვიძლის იმ ფერმენტების უპარისობით, რომელიც აუცილებელია კონიუგირებული ბილირუბინის წარმოსაქმნელად, რათა შემდეგში გამოთავისუფლდეს ნაღველთან ერთად.

ბილირუბინის მცირე ნაწილი, რომელიც ალბუმინებთან დაუკავშირებელი რჩება, ჰემოლიზური დაავადების დროს, შესაძლოა, ძალიან მნიშვნელოვან

ფრაქციად მოგვევლინოს, გააღწიოს არასათანადოდ განვითარებულ ჰემატოენცეფალურ ბარიერს ახალშობილებში და გამოიწვიოს ტგინის დაზიანება [5].

დვიძლი პასუხისმგებელია მთელი რიგი ცილების სინთეზზე, მათ შორის სისხლის შედეგებაში მონაწილე ფაქტორთა კასკადისთვის. დვიძლის ნებისმიერმა დაზიანებამ, ინფექციამ, ციროზმა შესაძლოა დააქვეითოს აღნიშნული ცილების სინთეზი და, შესაბამისად, სისხლის შედეგების უნარი. ციროზით დაავადებულ ადამიანებს გააჩნიათ სისხლდენის მაღალი რისკი, მცირე ჭრილობების დროსაც კი. გარდა ამისა, როცა ვარიკოზი სკდება, იქმნება ექსანგუინაციის (სისხლდენის) მაღალი საშიშროება. გარდა აღნიშნულისა, როცა დვიძლის ფუნქცია პროგრესულად ქვეითდება, პაციენტი კარგავს მარილებისა და წყლის რეტენციის უნარს, რაც იწვევს კანისა და კანქვეშა ქსოვილების შეშუპებას, პერიტონეალურ ლრუში სითნის დაგროვებას (ასციტს), რამაც შესაძლოა რამდენიმე ლიტრსაც კი მიაღწიოს.

დვიძლი არეგულირებს სისხლში გლუკოზის კონცენტრაციას სისხლიდან მისი გამოტანის ან პირიქით გლუკოზის დამატებით ორგანიზმის საჭიროების მიხედვით. ნახშირწყლებით მდიდარი საკვების მიღების შემდეგ, დვიძლს შეუძლია გამოიტანოს გლუკოზის განსაზღვრული რაოდენობა დვიძლის კარის სისტემიდან და გარდაქმნას ის გლიკოგენად ან ტრიგლიცერიდებად, რასაც, შესაბამისად, გლიკოგენზეს და ლიპოგენზეს უწოდებენ. შიმშილის პერიოდში დვიძლი სისხლში გლუკოზას გამოყოფს. აღნიშნული გლუკოზა შესაძლოა წარმოქმნას არანახშირწყლოვანი მოლეკულებიდან, კერძოდ, ამინომჟავებიდან მათი გლუკოზად გარდაქმნის გზით. ამ პროცესს გლუკონეოგენეზი ეწოდება. დვიძლი ასევე შეიცავს ფერმენტებს, რომელიც საჭიროა თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების კეტონეურ სხეულებად გარდაქმნისთვის (კეტოგენეზი), რომელიც სისხლში დიდი რაოდენობით გამოიყოფა საკვების მიუღებლობის შემთხვევაში. აღნიშნული პროცესები ექვემდებარება შესაბამის პორმონულ რეგულაციას.

როგორც აღვნიშნეთ, დვიძლის ნორმალური მეტაბოლიზმის დარღვევის შედეგად, ტოქსიკური მეტაბოლიტები აღარ გარდაიქმნება არატოქსიკურ მეტაბოლურ პროცესების დაგროვებას სისხლში კიდევ უფრო აძლიერებს მრავალი პორტოსისტემური შუნგების არსებობა, რომლითაც სისხლი დვიძლის გვერდის ავლით უკავშირდება სისტემურ ცირკულაციას [2]. ამგვარი გართულებების შედეგად, პაციენტებს უვითარდებათ სხვადასხვა სახის შეუქცევადი ნევროლოგიური დარღვევები, მათ შორის ნეიროენცეფალიტები, დემენცია, ეპილეფსიური გულყრები და სხვ.

ნორმალურ ფიზიოლოგიურ პირობებში დვიძლის კარის სისტემა სისხლს მუცლის დრუს ორგანოებიდან დვიძლისკენ აგზავნის. კარის სისტემის

სისხლის 100% იქმინდება დვიძლში და მიემართება დვიძლის ვენებში. პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებათ პორტული ვენის ჰიპერტენზია, მაგალითად, ციროზის დროს, სისხლის მიდინება დვიძლში მნიშვნელოვნად შემცირებულია. სისხლის ნაწილი მიემართება კოლატერალური სისხლძარღვებით, რომლებიც, გარკვეულ ადგილებში, უერთდება სისტემურ ცირკულაციას. ყველაზე დიდი კოლატერალები შემდგია:


1. გასტროეზოფაგალური კოლატერალური კავშირი, კუჭის კარდიალური ნაწილის ირგვლივ, სადაც კუჭის მარცხნია ვენა და მისი შენაკადები ქმნის პორტოსისტემურ ანასტომოზებს აზიგოს ვენის შენაკადებთან ერთად;
2. ანუსის ანასტომოზი – იქმნება პორტული სისტემის ზედა რექტალური ვენის ანასტომოზით შუა და ქვედა რექტალურ ვენებთან;
3. წინა აბდომინალური კედლის ანასტომოზი ჭიპის დონეზე იქმნება ჭიპის მახლობელი ამბილიკური ვენების ანასტომოზებით წინა აბდომინალურ ვენებთან.

ციროზის პროგრესირებისას, ინტრაჰემატური ვასკულარიზაცია და, შესაბამისად, სისხლის ცირკულირება მწყობრიდან გამოდის, რაც, თავის მხრივ, ზრდის წნევას პორტულ სისტემასა და მის შენაკადებში. პორტული ჰიპერტენზია იწვევს ელენთის ვენულების ჰიპერტენზიას და ელენთის გადიდებას. პორტოსისტემურ ანასტომოზებში წარმოიქმნება ვენების ვარიკოზული ცვლილებები. აღნიშნული ვენები მიდრეკილია სისხლდენისკენ და სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვა, მთელ რიგ შემთხვევებში, შესაძლოა ფატალურად დასრულდეს.

